# საერთო გაზეთი

№36 (728)
ოთხშაბათი
8 ნოემბერი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.


# გვახსოვს 7 ნოემბერი!









# შუბლისძარღვგაწყვეტილები



# 2024 წელს საქართველოს ექნება ძლიერი და გამართული ბიუჯეტი



ზოგადად, ოფიციალური საუბარი საინტერესო მოსასმენი არ არის, მით უფრო, თუ ქვეყნის ბიუჯეტს ეხება, სადაც ციფრები და პროცენტული მაჩვენებლები დომინირებს. შესაძლოა, მსმენელსა თუ მაყურებელს კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებით დაფინანსება აინტერესებდეს კიდეც, მაგრამ ხშირად შემაფერხებელი ფაქტორები იჩენს თავს და მისთვის საინტერესო ინფორმაციას, უბრალოდ, გულისყურით ვეღარ ადევნებს თვალს. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ბატონი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ მთავრობის სხდომაზე წარმოდგენილი ბიუჯეტის განახლებული ვარიანტი, სადაც ბიუჯეტის განხილვის პროცესში გამოკვეთილი საჭიროებებისთვის დამატებითი თანხის გამოყოფის საკითხიც არის გათვალისწინებული.

უპირველესად, სათამაშო ბიზნესის შესახებ უნდა ვთქვათ, რაც მასში ჩართულ ადამიანებში მუდმივად უკმაყოფილებას იწვევს. კაცმა რომ თქვას, სათამაშო ბიზნესის დაბეგვრა ნაცვლად 10%-ისა 15%-მდე გაზრდით, ხოლო სათამაშო ბიზნესიდან თანხის გატანა 5%-ის ნაცვლად, კვლავ დღეს მოქმედი 2%-ით განსაზღვრა ბევრად სამართლიანი იქნებოდა. ფაქტია, რომ სათამაშო ბიზნესში შარშან განხორციელებულმა ცვლილებებმა (სათამაშო ბიზნესის რეკლამა და ასაკობრივი ცენზი, რითიც მილიონ 500 ათას მოქალაქეს შეეზღუდა სათამაშო ბიზნესში მონაწილეობა) შედეგი ვერ მოიტანა, პირიქით, 48 მილიარდიდან 52 მილიარდამდე გაიზარდა სათამაშო ბიზნესის ბრუნვა, რაც კატასტროფული მაჩვენებელია. მაშასადამე, რაღაც არასწორად არის გათვლილი. ვფიქრობ, დამატებითი გადასახადები ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს...

ბატონი პრემიერის თქმით, დამატებით 160 მლნ ლარი გამოეყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რაც ჯამში 2 მლრდ 500 მლნ ლარს შეადგენს. მშვენიერია, რომ ჩვენს პედაგოგებს ხელფასები საგრძნობლად გაეზრდებათ, მაგრამ მგონია, რომ თუ განათლების სისტემა არ გადასხვაფერდა, არც ხელფასების გაზრდა უშველის განათლების ხარისხის ამაღლებას და არც სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. შედეგი ასე არ მიიღება!..

ბატონი ღარიბაშვილის თქმით, ჯანდაცვის სამინისტროს დამატებით გამოეყოფა 65 მლნ ლარი და ჯამური ბიუჯეტი იქნება 7 მლრდ 800 მლნ ლარი. 2012 წელთან შედარებით, ჯანდაცვის ბიუჯეტში 325%-იანი ზრდა ყოფილა და, ღმერთმა ქნას, ბიუჯეტის გაზრდით ჯანდაცვას რამე ეშველოს...

რაც შეხება ახალ პროექტებსა და ინიციატივებს — გაიზარდა ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება და მომდევნო წლიდან პენსიონერები მთელი წლის განმავლობაში უფასოდ მიიღებენ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებს, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება გაზრდილ პენსიასთან ერთად.

ნამდვილად მისასალმებელია ონკოლოგიურ პაციენტთა ადრეული კვლევების დანანსება, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ასევე, მისასალმებელია მედიკამენტების გაიაფება, რისი გაკონტროლებისა და გაუმჯობესების პირობაც მივიღეთ.

რაც შეეხება ძალოვან უწყებებს, ვიცით, რომ თითქმის 200 მლნ-ზე მეტით გაეზარდათ დაფინანსება ჯამურად შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. თავდაცვის სამინისტროს დამატებით გამოეყოფა 10 მლნ ლარი, 50 მლნ ლარი დამატებით გამოეყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს, საიდანაც 20 მლნ ლარი მოხმარდება სახანძრო-სამაშველო მანქანებისა და ტექნიკის შეძენას (ფრანგული წარმოების სამი ვერტმფრენი შეძენილია და მათი მოწოდება 2024 წლიდან დაიწყება).

მნიშვნელოვანია სიახლე, რომელიც ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებს შეეხება. მთავრობის გადაწყვეტილებით, ყოფილი პოლიციელები, სპეცსამსახურების წარმომადგენლებს და ჯარისკაცებს პენსია გაეზრდებათ და 560 ლარის ნაცვლად ათას ლარს მიიღებენ. ასევე, 20%-ით გაიზრდება ნამსახურობის თითოეულ წელზე გათვლილი თანხის მოცულობა. „მადლიერება მინდა გამოვხატო ჩვენი ძალოვანი უწყებების მიმართ და ეს იქნება ღირსეული პენსია, რომელიც გვინდა ეტაპობრივად გავზარდოთ იმის მიხედვით, თუ რა შემოსავალი გვექნება“, — განაცხადა პრემიერმა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების კომპენსაცია 1000-იდან 1200 ლარამდე გაიზრდება.

„ასევე, ჩვენ მოვიცავით თითქმის ყველა ჯგუფი — გაიზრდება 9 აპრილის მონაწილეთა და პოლიტრეპრესირებულთა ოჯახის წევრების სუბსიდია და ეს ჯამურად საკმაოდ დიდი თანხებია, რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს. საკმაოდ მცირე თანხები იყო, ჩვენ ოთხჯერ, ზოგ შემთხვევაში გავახუთმაგეთ.

ასევე, მომდევნო წელს, ჩვენ დავიწყებთ ახალ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც, ეტაპობრივად უზრუნველვყოფთ უსახლარო, მრავალშვილიან ოჯახებს.

ჩემი დავალებით შევისწავლეთ რეგიონში არსებული სიტუაცია, სამი შვილი და მეტი ვისაც ჰყავს უსახლკარო ან გაუსაძლის პირობებში, ასე ვთქვათ, მაცხოვრებლებს, შევაფასეთ მათი მდგომარეობა და ასეთი არის დაახლოებით ათასამდე ოჯახი. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჩვენ შევუძენთ ბინებს და იცხოვრებენ ღირსეულ საცხოვრებელ პირობებში. ეს იქნება მინიმუმ ორწლიანი პროგრამა. ჩვენ გაისად დავიწყებთ ამ პროგრამას. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მოქალაქეები იღებდნენ ასეთ ყურადღებას. მთავრობისგან არცერთი არ უნდა იყოს მიტოვებული“, — განაცხადა ბატონმა პრემიერმა.

ეკონომიკის სამინისტროს გამოეყოფა დამატებით 150 მლნ ლარი და ჯამში რვაას მილიონ ლარამდე იქნება ბიუჯეტი. ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის გათვალისწინებული იქნება ჯამურად 70 მლნ ლარი. გეგმის მიხედვით, მისი მშენებლობა დაიწყება გაზაფხულზე, მარტ-აპრილში.

დაახლოებით, დამატებით 70 მლნ ლარის გამოყოფაა განსაზღვრული აეროპორტების მშენებლობისთვის. საუბარია ქუთაისის აეროპორტის ახალ ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე, თელავისა და ვაზიანის აეროპორტების პროექტირებაზე, კვლევების დასრულებაზე და ა.შ.

სპორტის მიმართულებით დამატებით გამოიყოფა 20 მლნ ლარი. აქედან 15 მლნ მოხმარდება სპორტულ ფედერაციებს, ხოლო 5 მლნ ლარი მიემართება დამსახურებული სპორტსმენების, მწვრთნელებისა და საექიმო პერსონალის ყოველთვიური სტიპენდიების ზრდისკენ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტებზე დამატებით გამოიყოფა კიდევ 50 მლნ ლარი, რაც ჯამურად 3 მლრდ 400 მლნ ლარი იქნება.

საინტერესო პროექტია ტურისტული ქალაქებში: ბორჯომი, მესტია, ქუთაისი, ყაზბეგი, თელავი და ა.შ. მასშტაბური სამუშაოების წამოწყება და რიკოთის უღელტეხილზე მიმდინარე სამუშაოების დასრულებაც. რაც შეეხება პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილ თანხებს, დამატებით 110 მლნ ლარი დაემატება და ჯამურად 450 მლნ ლარი გახდება, რაც, შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს.

ბიუჯეტის ზრდა გათვალისწინებულია თბილისშიც, სადაც 2024 წლიდან თბილისის მთლიანი ბიუჯეტი მილიარდ 875 მილიონი ლარი იქნება, რაც ძალზე ეფექტური მატება კი არის, მაგრამ, რომ დიდი ეჭვი მაქვს, საცობების პრობლემას ვერ მოხსნის. ამ შემთხვევაშიც ვერ არის კარგად გათვლილი ბევრი რამ...

და ბოლოს, ელექტრონული არჩევნების საკითხი! დამატებით 25 მლნ ლარი გამოიყოფა საარჩევნო კომისიისთვის, რაც ჯამში 125 მლნ ლარი იქნება და ელექტრონული არჩევნების ჩატარებას მოხმარდება.

ეს იყო ის ძირითადი საკითხები, რის შესახებაც ბატონმა პრემიერმა ისაუბრა და დასძინა, რომ ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი, ანუ ბიუჯეტის მეორე ვარიანტი იმ დღესვე გადაეგზავნებოდა პარლამენტს. რადგან კიდევ აქვთ დამატებითი ერთი თვე, კვლავ იმუშავებდნენ ბიუჯეტზე, უფრო დააზუსტებენ და დახვეწენ. პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ 2024 წელს საქართველოს ექნება ისეთი ძლიერი და გამართული ბიუჯეტი, რომელიც ჩვენ წინაშე არსებულ გამოწვევებს სათანადოდ უპასუხებს!

ვის არ მოსწონს და რატომ არ მოსწონს საქართველოს მთავრობის ძალისხმევა, რომ საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნავდეს, სხვა საკითხია. თუ საკუთარი ქვეყნის მტერი არ ხარ, უნდა დაინახო, რომ შინაური თუ გარე მტრების გამუდმებული მტრობის პირობებში, გუნდი მაინც მუშაობს.

მიუხედავად მავანთა დიდი მონდომებისა, ზეწოლისა თუ პირდაპირ მიტანილი იერიშისა, „ასეთი მშვიდობა სამარცხვინოაო“, ისეთი გონიერებით მოტანილ სიმშვიდეში ვართ, საქართველოს აღმშენებლობის გზაზე შემდგარი საქართველოს მთავრობის გეგმების კრიტიკისთვისაც კი გვცალია. არადა, ფაქტობრივად, სამართებლის პირზე გავყავდით ჯიუტად და თან საქმესაც აკეთებდნენ...

ჯანსაღი შენიშვნები, წინადადებები და კრიტიკა, საჭიროა, მაგრამ ერი უმადური არ უნდა იყო!



# მირიან ჟარაულაშვილი: სტატუსს მოგვცემენ თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ჩვენ ქართული საქმე ვაკეთოთ



**— ბატონო მირიან, დღეს გახდება ცნობილი ევროკომისიის დასკვნა საქართველოსთვის სტატუსის მონიჭების თაობაზე. ენჯეოებმა ევროკომისიას მიმართეს, 12 რეკომენდაციის შესრულების მხრივ ისევ სირთულეებია, თუმცა ქართველი ხალხი არ უნდა დაისაჯოსო. თქვენ როგორ აღიქვით არასამთავრობო ორგანიზაციების გარჯა?**

— პირველ რიგში, „საერთო გაზეთს“, კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩემს დიდ პატივისცემას. რაც შეეხება შეკითხვას, ამ საკითხს მხოლოდ იუმორით თუ შევხედავთ. გავიხსენოთ ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, სადაც ზურიკელა მასწავლებელს ეუბნება: ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩა პატივცემულო, ჩვენც რომ გავყოლოდითო. ენჯეოებმა გააცნობიერეს, რომ ევროკომისია დადებით დასკვნას დაწერს და ცდილობენ, ხელისუფლების ეს დამსახურება საკუთარ აქტივში მიითვალონ.

**— თანაც ევროპას ეუბნებიან, სტატუსი მოგვეცით, რათა რუსეთს უკეთ გავუმკლავდეთ და რუსული გავლენები შევზღუდოთო.**

— დიახ, ურცხვად, ღიად ამბობენ, საქართველოს რუსული ხელისუფლება ჰყავსო. 30 წლის განმავლობაში, ჩემი დაკვირვებით, თუკი ვინმე რუსული გავლენის ქვეშ არის, რუსულ სცენარებს ახორციელებს და მის ნარატივს მისდევს, ეს სწორედ ის არასამთავრობო ორგანიზაციებია, ვინც ახლა სტატუსს ითხოვენ. ის, რომ ისინი სხვადასხვა დასავლური სტრუქტურებიდან ფინანსდებიან და გრანტებს იღებენ, არაფერს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლური ფონდების, დონორების მიერ ფინანსდებიან, მათი პრაქტიკული საქმიანობა ცხადყოფს, რომ ამ არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა რუსული სპეცსამსახურების გავლენის ქვეშაა. ხელისუფლებასთან გარკვეული პრეტენზიები გამაჩნია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ხელისუფლება არა რუსული, არამედ დასავლური ორიენტაციის მატარებელია. მთავრობის მხრიდან გაუბედავ ნაბიჯად მიმაჩნია ის, რომ არასამთავრობოებს და მათთან აფილირებულ პირებს საკადრისს არ უზღავენ. არასამთავრობოების, ოპოზიციის გაუთავებელი დეზინფორმაცია ქართულ მედიასივრცეს ანაგვიანებს. ისინი ხალხის მასაზე აქტიურად მუშაობენ. ამ მეთოდს სააკაშვილი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყენებდა. ვგულისხმობ 90-იანი წლების ბოლოს, როცა მთელი ტრანსპორტი, ბაზრობები სააკაშვილის, არასამთავრობოების და მასთან აფილირებული ჟურნალისტების გავლენის ქვეშ იყო. ჭორების გავრცელება კარგად ეხერხებათ — სასურველ ლეგენდას შეთხზავენ და მერე სხვადასხვა არხებით მასობრივი თავშეყრის ადგილებში ავრცელებენ.

ხელისუფლებას მოვუწოდებ – მეტი სიმტკიცე გამოავლინოს, ნუ შეუშინდება მათი მუშტების ბრახუნს, ყვირილს, წივილს, უცენზურო, გარყვნილ ქმედებებს, რასაც ეგრეთ წოდებული პროტესტის დროს მიმართავენ. ხელისუფლება გამჭირვალობის შესახებ კანონპროექტის განხილვისა და დამტკიცების პროცესს თამამად უნდა დაუბრუნდეს. მაშინაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: მოსახლეობა სათანადოდ არ იყო ინფორმირებული ამ კანონპროექტის შესახებ, თორემ კანონპროექტის შინაარსი აბსოლუტურად მისაღები იყო, მეტად გამკაცრებაც შეიძლება და დამატებითი კონტროლის მექანიზმების ჩადებაც.

**— ოპოზიციამ ევროპისკენ სავალ გზაზე საქართველოს შეფერხებას ერთი წელი მოანდომა. ახლა კი ოპოზიციონერმა ქალებმა ურსულა ფონ დერ ლაიენს მიმართეს, სტატუსი დღესვე გვჭირდებაო.**

— ენჯეოების მსგავსად, ესენიც სხეულზე ხელის მოსაკიდ ადგილს ეძებენ. ვიმეორებ, ყველა ცდილობს, სტატუსის მიღება საკუთარ დამსახურებად გაასაღოს. არადა, მაგალითად, სამადაშვილი ღია ეთერებში საუბრობდა იმის შესახებ, თუ როგორ ითხოვდა ევროპელებისგან საქართველოსთვის სანქციების დაწესებას. სააკაშვილის დროს ეს ქალბატონი ელჩი ბრძანდებოდა. ის პოლიტიკაში ნინო ბურჯანაძემ მოიყვანა და, მგონი, გასაგები უნდა იყოს, რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებთან ასოცირდება. აქვე არ შემიძლია, მისი კოლეგა ქალბატონების აღვირახსნილ საქციელზე არ გავამახვილო ყურადღება. მათ ყოველგვარ გარყვნილებას გადააჭარბეს. სოცქსელებში აქტიურად ვრცელდება ვიდეოები, თუ როგორ იქცევიან ქალი ოპოზიციონერები საკომიტეტო მოსმენებზე, პარლამენტის სხდომათა დარბაზში. არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ეს არის ფსკერი, რომლის ქვემოთ აღარაფერია. ისინი ჩაძირულები არიან ამ სიბინძურეში, რაც მათი სიხარბით, ვერცხლისმოყვარეობით, მორალური სახის დაკარგვით არის გამოწვეული. ხელისუფლება მათ დონეზე არც უნდა დაეშვას. მათ პასუხი ისევ საზოგადოებამ უნდა გასცეს. ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როცა ირაკლი ბერაიას იძულებით ბოდიში მოახდევინეს იმ საქციელზე, რაც სრულებით არ იყო საბოდიშო. მან, უბრალოდ, ფაქტი დააფიქსირა. წარმოიდგინეთ, ამ ფაქტის უარყოფა, ან იმის თქმა, რომ რომელიმე ბრალდება ტყუილია, არავის უცდია. მათი ერთადერთი არგუმენტი, იცით, რა იყო? — რა საჭირო იყო ამ ყველაფრის გაბაზრებაო. განა უარყვეს, ესა და ეს გამონათქვამი სიმართლეს არ შეესაბამებაო. არა! თურმე, როგორ შეიძლება იმის გაბაზრება, რომ თეონა აქუბარდია სვამს; რომ პარლამენტის წევრები გადასახადის გადამხდელების ხარჯზე დადიან ევროპულ მივლინებებში და, ძირითადად, შოპინგობენ; მივლინებების პერიოდში სახელმწიფოს საწინააღმდეგო კამპანიას ეწევიან და ასე შემდეგ. აი, ამ ფაქტების გაბაზრებაზე გაბრაზდნენ ქალბატონები. ესაა მათი მორალი.

ხელისუფლებასთან სწორედ ეს თხოვნა მაქვს: ამ ფაქტებს სათანადო ყურადღება მიაქციოს. უღირს, არაკანონიერ საქციელზე პასუხი ყველას დროულად უნდა მოეთხოვოს. ბერაიას არაფრის გამო ბოდიშს ახდევინებენ და ამ დროს გვარამიას გამონათქვამებზე პრეზიდენტის მისამართით, არავინ საუბრობს. არც გვარამიას და არც პრეზიდენტს, მორალი არ აქვთ. გვარამიამ აღნიშნა, როცა ამ სიტყვებს ვამბობდი, იმ დროს ფსიქიკური პრობლემები მქონდა და ფსიქიატრთან ვმკურნალობდიო. ადამიანები საკუთარ თავს ამ დონეზე რომ შეურაცხყოფენ, სხვის მიმართ ზრდილობიანები როგორ იქნებიან?! რაც შეეხება ზურაბიშვილს, უნდა მიმაწოდონ ინტერვიუ, სადაც იგი ამბობს, ხუთი წელია პრეზიდენტი ვარ და არც ბაიდენი და არც ჰარისი, ჩემი ტელეფონის ზარებს არ პასუხობენო. ეს პირდაპირ მიანიშნებს რუსეთისადმი — აი, ხომ ხედავთ, ისინი არ მაღიარებენ და თავიდან ბოლომდე თქვენი ვარო. დიდი ხანია, ვამბობ: სალომე ზურაბიშვილი საქართველოში სამიოთხი ქვეყნის წარმომადგენელია, უპირველესად, რუსეთისა და ირანის. არასამთავრობო ორგანიზაციებსაც და ზურაბიშვილსაც ერთი პატრონი ჰყავთ, ეს არის რუსეთი.

**— ბატონო მირიან, როგორ განვითარდება მოვლენები სტატუსის მონიჭების, ან არმონიჭების შემთხვევაში?**

— ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. დიახ, **საქართველომ, ხელისუფლებამ ქართული სახელმწიფოს საქმე უნდა აკეთოს.** ყველა ლოგიკით დადებით პასუხს ველოდები, თუმცა ჩვენი ევროპელი პარტნიორები, სამწუხაროდ, ერთი წლის წინ ამ ლოგიკას ასცდნენ. თუ შეიძლება, ყურადღებას ერთ საკითხზე გავამახვილებ: როცა სამეულში უკრაინასთან და მოლდოვათან ერთად გვახსენებენ, ეს შემთხვევითი არ არის. 90-იანი წლების ბოლოს ამერიკის ხელდასმით რეგიონული ორგანიზაცია — სუამი შეიქმნა, სადაც საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა ერთიანდებოდა. როგორც რეგიონული ორგანიზაცია, მისი დეკლარირებული მიზნები ცუდი არ იყო, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლების დროს ამან ძალიან მახინჯი ფორმა მიიღო. სუამი სხვადასხვა პოლიტიკური ინტრიგების საკეთებლად გამოიყენეს. შემდეგ ამ ორგანიზაციას აზერბაიჯანი გამოეყო. მიზეზი ევროკავშირის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან დესტრუქციული პროცესების დაწყება იყო. აზერბაიჯანმა სუამში თავის აქტივობა ნულამდე დაიყვანა. ეს ამერიკული იდეოლოგიის გამტარებელი ორგანიზაცია იყო. რა გვესაქმება ჩვენ მოლდოვასთან?! ჩვენ ხომ სხვადასხვა სასტარტო პოზიციები გვაქვს. მოლდოვა დღეს, ფაქტობრივად, რუმინეთის ერთ-ერთი ოლქია. მასთან რა გვაერთიანებს?! ან უკრაინასთან რა კავშირი გვაქვს?! უკრაინა, დაწყებული 2003 წლიდან, ყოველთვის იმ ძალების ფორ-პოსტს და დასაყრდენს წარმოადგენს, რომლებიც საქართველოს მიმართ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევიან. სააკაშვილისა და იუშენკოს ნათელ-მირონობიდან დაწყებული, იანუკოვიჩის ღირსების ორდენით დაჯილდოვებით დამთავრებული, გასაგებია, საქმე რასთანაც გვაქვს. სხვათა შორის, ზალუჟნიმ უკრაინელ ეგრეთ წოდებულ პატრიოტ ჟურნალისტ გორდონთან ინტერვიუში პირდაპირ თქვა, რომ პოროშენკო და სააკაშვილი ინსტიტუტში სწავლის პერიოდში კაგებეს „დამუშავების“ ქვეშ იყვნენ. ამის მერე რაღაზე ვსაუბრობთ. ამიტომ ვამბობ: ჩვენ არაფერი გვესაქმებოდა არც მოლდოვასთან, არც უკრაინასთან. ჩემთვის შეურაცხმყოფელიც კი არის საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის ამ ტრიადასთან ერთად განხილვა. საქართველოს თავისი გზა აქვს. ამაში პრემიერს მხურვალედ



ვუჭერ მხარს, როცა ამბობს: რომ ჩვენ ქართული საქმე უნდა ვაკეთოთ და სხვის ტენდენციურ შეფასებებს ყურადღება ნაკლებად მივაქციოთ.

**— რადიკალები ახალი გეგმისთვის ემზადებიან — არჩევნები წინასწარ არალეგიტიმურად გამოაცხადონ. სანამ სააკაშვილი პატიმარი იქნება, არჩევნები ლეგიტიმურად არ ჩაითვლებაო.**

— ეს გეგმა არახალია, უკვე დაძველდა, რაც გვარამია-სააკაშვილის მიერ ერთხელ უკვე განხორციელდა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. არჩევნები ოქტომბერში ჩატარდა, ოპოზიციამ კი უკვე ზაფხულში ის არასამართლიანად გამოაცხადა და ჯერ არჩატარებული არჩევნების შედეგები უარყო. ამ ხერხს ყველა არჩევნების წინ მიმართავენ. გეგმა, რომელიც სტატუსის არმოცემას და ამის ხელისუფლებასთან დაკავშირებას, ასევე, დესტაბილიზაციის შექმნას ემსახურება, მათთვის უფრო ადვილი განსახორციელებელი იქნებოდა. არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადება რეზერვია. ეს მეთოდი უკვე დაუძველდათ.

**— სააკაშვილი ხაზეიშვილისა და მელიას დაპირისპირებას გამოეხმაურა, ჩვენ არ გვჭირდება შიგნიდან რყევა, სჯობს, პარტია დატოვოთ და სხვა საქმე აკეთოთო.**

— საერთოდ არ მაინტერესებს ეს ანეკდოტური პარტია და ოპოზიციური დაჯგუფებები. მათ უკვე საქართველოს ფარგლებს გარეთაც დასცინიან. საქართველოს გამანადგურებელ „ნაცმოძრაობაზე“ დასავლეთი იმედებს აღარ ამყარებს. მათ ჰყავთ საკუთარი ტელევიზიები „მთავარი“, „კავკასია“, აქუბარდიები და ეს თემები იქ განიხილონ.




**თამარ შველიძე**

# ჩვენ ვართ ევროპის მომავალი!

ოდითგანვე ევროპა-აზიის გასაყარზე არსებული საქართველო არასდროს ყოფილა არც ევროპა და არც აზია, ამიტომ ფრთიან ფრაზად ქცეული „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“, ამიტომ საქართველოს ადგილი ევროკავშირშია, ისეთივე აბსურდული აზრის მატარებელია, როგორიც „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ აზიელი“ და ჩემი ადგილი „ბრიქსშია“. საქართველოს ადგილი იქ უნდა იყოს, სადაც მას ელიან, სადაც ყოფნა საქართველოს წაადგება და არა იქ, სადაც არ უნდიხარ, ან კაბალურ მდგომარეობაში აღმოჩნდები. პირადად მე, ერთი რიგითი ქართველი ასე ვფიქრობ და ისიც ვიცი, რომ ჩემსავით ბევრი ფიქრობს.

მოდი, გადავხედოთ, სად გვინდა და რას ველით. საკუთარი ის-



ტორიის მოსმენა თუ არ გვინდა, რაღაც კავშირის „ისტორიას“ მაინც გადავავლოთ თვალი...

1955 წელს იტალიის ქალაქ მესინაში ექვსი ქვეყნის (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები) საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში“ შემავალ ქვეყნებს შეექმნათ „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“ და მომზადდა საფუძველი „რომის ხელშეკრულებისთვის“.

1957 წელს რომში ხელი მოეწერა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების ხელშეკრულებას. იმავე დღეს ცალკე ხელშეკრულებით დაფუძნდა „ევრატომი“ (ევროპული გაერთიანება ატომური ენერგიის დარგში), რომლის მიზანს წარმოადგენდა ატომური ენერგიის ინდუსტრიის განვითარება, ენერგიის გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე გადანაწილება და დარჩენილი რესურსის არაწევრი ქვეყნებისთვის მიყიდვა. ასევე, შეთანხმდნენ ერთიანი ბაზრის შექმნაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი ითვალისწინებდა ევროგაერთიანების ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების კუთხით. რომის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი იქნა საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბება.

1967 წელს (ხელი მოეწერა 1965 წელს), ბრიუსელის ხელშეკრულებით მოხდა ხსენებული სამი ორგანიზაციის: ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და „ევრატომის“ აღმასრულებელი ორგანოების გაერთიანება ერთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანება“ ეწოდა.

1968 წელს ამოქმედდა ევროგაერთიანების საბაჟო კავშირი და გაუქმდა სავაჭრო ტარიფები წევრ სახელმწიფოებს შორის. ასევე, დაწესდა საერთო ტარიფები გაერთიანების არაწევრ ქვეყნებთან მიმართებაში.

1985 წელს ხელი მოეწერა შენგენის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები შეთანხმდნენ საერთო სასაზღვრო კონტროლის თანდათან გაუქმებაზე.

1986 წელს ლუქსემბურგსა და ჰააგაში ევროპული გაერთიანების წევრებმა ხელი მოაწერეს ერთიან ევროპულ აქტს, რომლითაც ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებებში ცვლილებები და დამატებები შევიდა.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია, ხოლო 1992 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე, „ევროპული გაერთიანებები“ ევროკავშირად გარდაიქმნა. მაასტრიხტის ხელშეკრულებით შესწორდა და ერთ დოკუმენტში გაერთიანდა მანამდე არსებული ყველა ხელშეკრულება.

მაასტრიხტის ხელშეკრულებით დადგინდა, რომ ევროკავშირი უნდა ეფუძნებოდეს სამ ძირითად სვეტს.

პირველ სვეტში გაერთიანდა ევროპის არსებული გაერთიანებები (ევროპის გაერთიანება, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება). მეორე სვეტში შევიდა საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, ხოლო მესამე სვეტში – თანამშრომლობა მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეებში.

პირველ სვეტი: აქ შემავალ საკითხებად განისაზღვრა საბაჟო კავშირი, სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა, ერთიანი ბაზარი, სავაჭრო პოლიტიკა. ამსტერდამის ხელშეკრულებით შემდგომში ამ სვეტს სხვა საკითხებიც დაემატა.

მეორე სვეტი: არეგულირებდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა თანამშრომლობა საერთო საგარეო პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე, სამშვიდობო მისიები, დახმარება არაწევრი ქვეყნებისათვის, ევროპის უსაფრთხოების, განიარაღებისა და თავდაცვის დაფინანსების საკითხები.

მესამე სვეტი: აქ შემავალი საკითხებში შევიდა წევრი ქვეყნების პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხებში, საპოლიციო თანამშრომლობა, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ნარკომანიის, ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგისა და ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა.

ხელშეკრულების თანახმად, პირველ სვეტში საკითხები განიხილებოდა ზეეროვნულ (ანუ ევროპულ) დონეზე, საკითხი გადაწყდებოდა ხმათა უმრავლესობით და აქ გადამწყვეტი როლი დაეკისრა ევროკომისიას და ევროპარლამენტს, საბჭოსთან ერთად. დანარჩენ ორ სვეტში წამყვანი როლი მიენიჭა საბჭოს – გადაწყვეტილებები მიიღებოდა ეროვნულ დონეზე წევრი ქვეყნის ხელმძღვანელებისა და მინისტრების მიერ. აქ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო არა უმრავლესობის, არამედ ყველა ქვეყნის თანხმობა. მეორე და მესამე სვეტის საკითხებში, ანუ საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის, ასევე მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეებში, კომისია და პარლამენტი ვერ ჩაერეოდა.

ამის მიზეზი გახდა ის, რომ სახელმწიფოებს არ სურდათ ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, საშინაო საქმეები და მართლმსაჯულება, კომისიისა და პარლამენტისთვის მიენდოთ. ვინაიდან, აღნიშნული ორგანოების დანიშნულებას წარმოადგენდა საერთო ევროპული ინტერესების დაცვა და არა რომელიმე კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკის გატარება (ანუ ევროკომისიის ან ევროპარლამენტის წევრს, რომელიც ეროვნებით შეიძლება იყოს ფრანგი, არ აქვს უფლება, საფრანგეთის სახელით იმოქმედოს და მარტო საფრანგეთისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას დაუჭიროს მხარი).

მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება. კერძოდ, თანაგადაწყვეტილების პროცედურის შემოღებით, ევროპარლამენტს მიენიჭა თანაბარი უფლება, საბჭოსთან ერთად მიეღო მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში გარკვეულ სფეროებში. კომისიის მთლიანი შემადგენლობის დამტკიცებისთვის აუცილებელი გახდა ევროპარლამენტის თანხმობა. ამასთან, ევროპარლამენტთან შეიქმნა ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელსაც მიეცა უფლება, შეემოწმებინა ევროკავშირის სამართლის დარღვევის ფაქტები.

მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, გადაწყდა ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა. მაასტრიხტის ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1993 წელს.

1997 წელს, ამსტერდამში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავდა იმ საკითხებს, რომელზეც ვერ შეთანხმდნენ მაასტრიხტში. ამ დროისათვის უკვე 15 წევრი სახელმწიფო იყო გაერთიანებული და იგეგმებოდა ახალი წევრების მიღება.

1999 წლის პირველივე დღეს შეიქმნა მაასტრიხტის ხელშეკრულებით დადგენილი ეკონომიკური და სავალუტო კავშირი. ევრო, როგორც ერთიანი ევროპული სავალუტო ერთეული, ამ დღიდან უნაღდო ანგარიშსწორებაში უკვე გამოიყენებოდა, ხოლო 2002 წლის პირველი დღიდანვე ევრომ ეროვნული ვალუტები ნაღდ ანგარიშსწორებაშიც შეცვალა.

შემდეგ უკვე მოდის „ნიცის შეთანხმება“ რაც შემდგომ „ლისაბონის შეთანხმებით“ შეიცვალა და ძალაში შევიდა 2009 წლის დეკემბრიდან.

მაასტრიხტის ხელშეკრულების მიხედვით, ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო, ევროსაბჭო ევროკომისიასთან კონსულტაციისა და ევროპარლამენტიდან ნებართვის მიღების შემდეგ, გადაწყვეტილებას ახალი წევრის მიღების შესახებ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით იღებს.

ლისაბონის ხელშეკრულების 50-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრ ყველა სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა, სურვილისამებრ დატოვოს კავშირი წინასწარ დადგენილი წესის შესაბამისად.

გაფაციცებული ელოდება საქართველო, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ევროსაბჭო, ევროკომისია და ევროპარლამენტი, მე კი „ლისაბონის ხელშეკრულების“ 50-ე მუხლზე ვფიქრობ უკვე.

დიახ, ვფიქრობ, რადგან არ დამვიწყებია „ბრექსიტი“. თუ ასეთი მომხიბვლელი და სახარბიელოა ევროკავშირი, იმდენხნიანი თანამშრომლობის შემდეგ დიდი ბრიტანეთი რატომ გავიდა აღნიშნული კავშირიდან და რატომ ითქვა, რომ ევროკავშირის წესდების პუნქტები ეწინააღმდეგებოდა დიდი ბრიტანეთის ეროვნულ ინტერესებს? რომ სარგებელს ბევრად აჭარბებდა გასავალი და ა.შ. რატომ თქვა „ბრექსიტამდე“ გავრცელებულ მიმართვაში ბორის ჯონსონმა: „ეს არის წუთი, როცა იწყება განთიადი და ჩვენს დიად ეროვნულ დრამაში ფარდა ახალი მოქმედებებისთვის აიწევა. დიახ, ეს უკავშირდება ახალ შესაძლებლობებს, ხელახლა მოპოვებულ სუვერენიტეტს იმ ცვლილებების განსახორციელებლად, რომელსაც ხალხმა ხმა მისცა“.

რატომ გამოდიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები დროდადრო განცხადებებით, რომ დატოვებენ ევროკავშირს? თუ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის წევრობის გარეშეც არსებობს, სხვა რატომ ვერ იარსებებს?

მატეო სალვინიც ასე ფიქრობს, მარინ ლე პენიც და კიდევ სხვებიც, რომ აუტანელია გარე გავლენები ქვეყნის შიგნით მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ევროკავშირის უფლებამოსილების უსაშველოდ გაფართოება, ევროკავშირის წევრობისთვის დაწესებული გაბერილი შენატანები და ა.შ. საქართველოსთან შედარებით ამხელა სახელმწიფოები თუ ევროკავშირში ვერაფერ სახარბიელოს ვერ ხედავენ, ჩვენ რას ვხედავთ, ნეტავ?

ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი გაგვჭირვებია და დამატებით ევროკავშირის ბიუჯეტში ფინანსური ინვესტიციების შეტანას როგორღა შევძლებთ?

მაგალითად, ევროკომისიამ ყველა წევრ ქვეყანას მოსთხოვა დამატებითი შენატანების გადარიცხვა 2027 წლამდე (66 მლრდ ევრო) უკრაინისთვის დახმარების გასაწევად, მიგრაციის წინააღმდეგ საბრძოლველად და ევროპის კავშირის კონკურენტუნარიანობის მხარდასაჭერად.

უკაცრავად, მაგრამ ვერ გავიგე, ამ შემთხვევაში ზელენსკის მთავრობის წევრების კეთილდღეობისთვის რატომ უნდა გაისარ-



ჯის ვინმე; ან რომელი მიგრაციის წინააღმდეგ იბრძვიან, როდესაც მიგრაციის პროცესს თვითონ უმაგრებენ ზურგს; ან ვისთან კონკურენტუნარიანობაში მხარდაჭერას გულისხმობენ (ლოზუნგი გამახსენდა „დავეწიოთ და გავუსწროთ აშშ-ს!“)?

კარგად ვხედავთ, რომ ევროპის ე.წ. ხელმძღვანელების შეხედულებისამებრ წესდება წევრ ქვეყნებზე სანქციები და ჯარიმები. იმასაც კარგად ვხედავთ, რომ არც კორუფციაა მათთვის უცხო, კორუფციის ბრალდებით ხან რომელი ევროპარლამენტარი გაეხვია საერთაშორისო სკანდალში და ხან — რომელი...

ყურმოკვრით ისიც გავიგე, რომ 2020 წლის ზაფხულში ევროკავშირმა პოლონეთის ექვს ქალაქს გაუუქმა დაფინანსება „ევროპის კავშირის ძმადნაფიცი ქალაქების“ პროექტის ფარგლებში, რადგან მათ ლგბტ-ისგან თავისუფალ ტერიტორიებად გამოაცხადეს თავი.

იმასაც ვხედავთ, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ (2014 წელი), რაც ორმხრივი ვაჭრობის მნიშვნელოვან გამარტივებას ითვალისწინებდა, პროცესი სხვაგვარად წარიმართა — საქართველომ მთლიანად გახსნა თავისი ბაზარი ევროპული იმპორტისთვის, მაგრამ ევროპის კავშირმა დაიტოვა უფლება, რომ დააწესოს ქართული საქონლის წვდომის საფასური; ევროკავშირის ქვეყნებმა მიიღეს საქართველოში თავიანთი საქონლის ნებისმიერი მოცულობით შემოტანის უფლება, საქართველო კი ვალდებულია, დაიცვას მისთვის გამოყოფილი მინიმალური კვოტები.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის უვიზო რეჟიმია დაწესებული, ქართული მხარისთვის მკაცრი მოთხოვნები მოქმედებს. ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა წარმოადგინონ უკან დასაბრუნებელი ბილეთი, სასტუმროს ჯავშანი და თანხა, დღეში 50 ევრო სულზე, რას მისცემენ საქართველოს, ძალიან მალე ვნახავთ, მაგრამ გვერდზე გვყავს მეზობელი თურქეთი და მის მაგალითზე კარგად ვხედავთ, რაც არის ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა. ოჯახი, რომელიც სახლში გიშვებს, მეგობრად და თანასწორად გთვლის, კარს არ გირახავს ათასგვარი ურდულით, ულტიმატუმებს არ გიყენებს პუნქტებად და არ გიბრძანებს, შეიცვალო, ისეთი უნდიხარ, როგორიც ხარ...

თუ მოგვცეს კანდიდატის სტატუსი, უნდა ვიფიქროთ, რატომ მოგვცეს, რისი დათმობის საფასურად და გვიღირს თუ არა? ხოლო თუ არ მოგვცეს, დადასტურებულად ცხადი გახდება, რომ ძალიან სერიოზულ ძალას მიზნად აქვს, რომ საქართველო აუცილებლად რუსეთის ვექტორზე გავიდეს. რუსეთის მხრიდან არანაირი მინიშნება არ არის, ვიღაც კი ამისთვის წელზე ფეხს იდგამს...

ისეთ პოლიტიკურ კრუნჩხვაშია ჩავარდნილი საქართველოს მავნებელთა არმია, სტატუსი გვეკუთვნის ხალხს და არა ხელისუფლებასო, ვეჭვობ, დადასტურებულად იციან, რომ, ბოლოსდაბოლოს, მოგვცემენ აგრერიგად სანუკვარ სტატუსს.

ვინ იცის, იქნებ იქ, დიად ევროპაში იფიქრეს, ჩვენ მიერ მოსყიდული საქართველოს მოღალატე გოშიები მართლა ცუდები არიან, დაფინანსებას კარგად ქომფლავენ, მაგრამ ვერანაირი საქმის შემსრულებლები ვერ არიან, მხოლოდ წურბელებად გვასხედან კისერზე და იმ პატიოსან ხალხს რაღას ვურევთ ქვეყანას, არ ჯობს, მართლა პატიოსნად ვეთანაშრომლოთო?

კაცმა რომ თქვას, რითი არ არის საქართველო სათანამშრომლოდ მიმზიდველი, ადგილმდებარეობა არ გვივარგა თუ ჰაერი, მიწა თუ წყალი, მაგრამ საქართველოს პარტნიორი პატიოსანი ევროპის წარმოდგენა, მომიტევეთ და, იმავე ევროპელების პრეტენზია-პროტესტების გამო, მიჭირს... ის კი არადა, იმასაც კი ვფიქრობ, რომ ასეთი დაყვავება, შესაძლოა, განგებ მოგონილი იყოს რაღაცა მოულოდნელის გასამჟღავნებლად...

ევროსამზარეულოდან ამბის გამომტანი რიკარდ იოზვიაკი საქართველოსთვის მოსანიჭებელ დანაღმულ სტატუსზე ალაპარაკდა. მე პიქირით ვიტყოდი: რატომ უნდა უნდოდეთ ევროპულ ბუდეში დანაღმული გუგულის კვერცხი?

2017 წელს ვიქტორ ორბანმა განაცხადა: „27 წლის წინათ, აქ, ცენტრალურ ევროპაში, ჩვენ გვჯეროდა, რომ ევროპა იყო ჩვენი მომავალი. დღეს ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენ ვართ ევროპის მომავალი“.

რაღაც ისე არ გამოეწყო ევროპის დასახული მიზნები, როგორც „წინწასულ“ ევროპასა და „ჩამორჩენილ“ ევროპას ერთობლივად წარმოედგინა, ლიბერალურმა დემოკრატიამ არ გაუმართლა არც ერთს და არც მეორეს, ჩვენი — არ ვიცი...

**ნინო დაუშვილი**



# საქართველოსთვის სტატუსის მინიჭება ქვეყნის ღირსებისა და თავმოყვარეობის საკითხია

**8 ნოემბერს ბრიუსელი გაფართოების პირველად ანგარიშს გამოაქვეყნებს. მიმდინარე წლის დეკემბრის შუა რიცხვებში კი ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ. ამავე დროს, გაფართოების ყოველწლიურ ანგარიშზე საქართველოსთან ერთად უნდა შეაფასონ შემდეგი ქვეყნები: ალბანეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, თურქეთი, კოსოვო, მოლდოვა, მონტენეგრო, სერბეთი, უკრაინა და ჩრდილოეთ მაკედონია.**

**მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ ახლა, როგორც არასდროს, გაზრდილია შანსები ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად, ევროპაში კი უკვე გააცნობიერეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ევროკავშირისთვის, საქართველოს მიმართულებით გაფართოებას.**

**რა მოლოდინი აქვთ დაკავშირებით ჩვენს რესპონდენტებს და რას მისცემს ეს სტატუსი საქართველოს, ამ საკითხებზე თავად ისაუბრებენ:**

**ლევან მამალაძე, სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი:**

კულუარული ინფორმაციის საფუძველზე, რაც ბრიუსელიდან და ევროკომისრებისგან გვაქვს, მინდა გითხრათ, რომ საქართველოს სტატუსს მისცემენ და ჩვენ მივიღებთ ამჯერად რეკომენდაციას. ეს ინფორმაცია აქვთ როგორც ხელისუფლების გარკვეულ წარმომადგენლებს, ასევე იმ „მეხუთე კოლონას“, რომელ-



საც დასავლეთი აფინანსებს. იმიტომ დაიწყეს მათ ახლა ლაპარაკი, რომ თითქოს მხარს უჭერენ საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების საკითხს, უნდათ, რომ პროცესის თანამონაწილენი გახდნენ. თუმცა, მთელი ამდენი ხნის განმავლობაში, ყველაფერს სწორედ ამის საწინააღმდეგოდ აკეთებდნენ.

სტატუსს მოგცვემენ არა იმიტომ, რომ ჩვენ ვედარდებით ევროპას ან ჩვენი ხელისუფლება მოსწონს, - საქართველო აინტერესებთ, რადგან სტატუსის მოცემის შემთხვევაში, ევროპა ჩვენს ქვეყანაში თავისი გავლენას გააძლიერებს და ამით კავკასიაზე გავლენას შეინარჩუნებს. არმოცემის შემთხვევაში კი რუსეთის გავლენა გაძლიერდება საქართველოში და საერთოდ დაკარგავენ ამ ყველაფერს. ამიტომ დასავლეთს თავისი ინტერესები აქვს და ეს არ არის „წყალობა“ მათი მხრიდან. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს არც იმ 12 პუნქტის შესრულებას თუ არშესრულებას. ეს არის პოლიტიკური თამაში და გადაწყვეტილება მიღებულია დასავლეთის ინტერესების ჩარჩოში.

ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი არაფერს გვაძლევს შეზღუდვების გარდა. მსოფლიო ისე სწრაფად იცვლება, ჩვენ არავის უნდა შევეხვეწოთ, რომ ოღონდაც მიგვიღონ და ყველაფერს გავაკეთებთ. მე ვიტყოდი, - როგორც კი სტატუსს მოგვანიჭებენ და ეს ოფიციალურად გაფორმდება, საქართველომ უნდა დააწესოს დათქმა, რომ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში მიგვიღონ ევროკავშირში, რადგან ჩვენი ინტერესია ევროკავშირში მიღება და არა კანდიდატის სტატუსის ფლობა გაურკვეველი ვადით.

**გია აბაშიძე, პოლიტოლოგი:**

თუ გავითვალისწინებთ ევროპელი პოლიტიკოსების, დიპლომატებისა და ჩვენი ქვეყნის მმართველი გუნდის პოზიტიურ განცხადებებს, ასევე - იმ გამძაფრებულ აგრესიასა და გაწბილებას, რაც რადიკალური ოპოზიციის მხრიდან მოდის, საგულისხმოა, რომ ამ სიმბოლურ და საპატიო სტატუსს მივიღებთ. ხაზგასმით აღვნიშნე სიმბოლური და საპატიო, რადგან, ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი ევროინტეგრაციის დიდსა და ვრცელ გზაზე, მაგრამ არანაირ ფინანსურ-ეკონომიკურ ბენეფიტებთან არ არის დაკავშირებული, როგორც ოპოზიცია და მათთან აფილირებული არასამთავრობო ორგა-

11 გვ. →

# ბრიუსელშიც მიხვდნენ – საქართველოს რუსეთთან დატოვება არ შეიძლება



*გვესაუბრება „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილი:*

**— ბატონო სოსო, რამდენიმე დღის წინ ბერლინში გამართულ შეხვედრაზე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები მოსაცდელ ოთახში დიდხანს არ უნდა დავტოვოთო. რას ნიშნავს ეს განცხადება საქართველოსთვის?**

— ეს კანცლერ შოლცის გამონათქვამის გაგრძელებაა, რომელმაც თავის დროზე თქვა, ევროკავშირი უნდა იყოს ლისაბონიდან თბილისამდეო. ანუ, ევროპის ყველა ქვეყანა ევროკავშირის წევრი უნდა გახდეს. მთავარია, მან დემოკრატიის გზიდან არ გადაუხვიოს და ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოთხოვნებიდან არ ამოვარდეს. ანალენა ბერბოკის განცხადებამ დაადასტურა, რომ გერმანია — ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა, საქართველოსთვის სტატუსის მინიჭებას (რაც, ფაქტობრივად, არაფერს წარმოადგენს) მხარს უჭერს. ეს სიმბოლური ჟესტია. თუმცა, შარშან ევროკავშირს ჩვენთვის სტატუსის მოცემა დაენანა. გვახსოვს მაკრონის საკმაოდ არასასიამოვნო განცხადება ჩვენი ქვეყნის მიმართ: თქვენ, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეზობლები ხართ, ანუ, ევროპისგან შორს ხართო. როგორც ჩანს, ახლა პოლიტიკური სიტუაცია იცვლება. ვგულისხმობ რუსეთ-უკრაინის და ისრაელ-პალესტინის ომებს. ამის გათვალისწინებით, კანდიდატის სტატუსის მონიჭებას უნდა ველოდოთ. აქამდე სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ მსოფლიოში ვითარება სწრაფად იცვლება.

**— შავი ზღვის მიმართ დასავლური სამყაროს ინტერესი იზრდება. პუტინმა ჯერ კიდევ 2007 წელს განაცხადა, შავ ზღვაში ნატო-ს შემდგომ გაფართოებას აღარ დავუშვებთო.**

— რაც შეეხება ნატო-ს, საქართველოს იქ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ, რადგან ამას რუსეთი ეწინააღმდეგება. საქართველოს ნატო-ში მიღების შემთხვევაში, რუსეთმა, შესაძლოა ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებს ერთი-ორი რეგიონი კიდევ მიამატოს. ნატო-სგან განსხვავებით, რომელიც სამხედრო-პოლიტიკური კავშირია, ევროკავშირი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, სადაც საქართველოს გაწევრიანებას რუსეთი არ ეწინააღმდეგება. ადრე რუსეთის მაღალჩინოსნებს, მათ შორის, ლავროვს შევხვდი და თავად მათგან მოვისმინე, რომ ევროკავშირში ჩვენს გაწევრიანებას არ ეწინააღმდეგებიან. ჩემი აზრით, ევროკავშირში უნდა გავერთიანდეთ, მაგრამ ნატო-ში გაწევრიანებაზე ლაპარაკს თავი დავანებოთ, რადგან ეს რუსეთს აღიზიანებს, ეს კი ტერიტორიების დაბრუნების შანსს გვაშორებს. ჩვენ სამხედრო ნეიტრალიტეტი უნდა გამოვაცხადოთ. რუსეთი უნდა დარწმუნდეს, რომ ჩვენი საზღვრებიდან საფრთხე არ ემუქრება. სანაცვლოდ, მანაც უნდა გვითხრას, რომ რუსეთიდან საფრთხე არ გვემუქრება. ასე დამშვიდდება რუსეთთან სიტუაცია.

**— სამნიძე-დეკანოიძემ ოპოზიციის ნაწილი „ამხილეს“, ევროჩინოვნიკებს არწმუნებდნენ, ჩვენთვის სტატუსი არ მოეცათო. რა მიზნით გააკეთეს ეს?**

— მათ კარგად იციან, რომ საქართველო, დიდი ალბათობით, სტატუსს მიიღებს. ამიტომ, როცა გასაჯაროვდება, ვინ ეწინააღმდეგებოდა ამ პროცესს, სამნიძეებს სურთ, კარგებად გამოჩნდნენ. ამ ხალხს მე ოპოზიციას არ ვუწოდებ, ესენი არიან მეხუთე კოლონა, უცხო ქვეყნის ჯაშუშები საქართველოს ტერიტორიაზე, რომლებიც დესტრუქციულ, ძირგამომთხრელ დივერსიულ საქმიანობას ეწევიან. ნორმალური ქვეყანა რომ ვიყოთ, ეს ადამიანები ციხეში უნდა ისხდნენ. ვფიქრობ, რომ ისრაელსა და პალესტინას შორის მიმდინარე ომი საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების საკითხს დააჩქარებს. რუსეთი ძალიან გააქტიურებულია, მან ოჩამჩირეში ახალი ბაზის გახსნა გადაწყვიტა. ამ ფაქტორის გათვალისწინებითაც, ვვარაუდობ, რომ სტატუსს მოგვცემენ. ღარიბაშვილმა ბრიუსელში ძალიან სწორად განაცხადა, სტატუსის არმოცემა საქართველოს რუსეთის ამარა დატოვებას ნიშნავსო. ამას ბრიუსელშიც აცნობიერებენ. სომხეთი და აზერბაიჯანი რუსეთთან შესანიშნავ ურთიერთობაში არიან. კავკასიაში ევროპისა და აშშ-ის ერთადერთი დასაყრდენი საქართველოა და მისი დაკარგვა არ უნდათ.

**— ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლებას ქვეყანა მიზანმიმართულად რუსეთისკენ მიჰყავს. თუმცა, პრემიერი სამიტებსა თუ სხვა შეხვედრებზე ყურადღებას ამახვილებს წართმეულ მიწებზე, რომელიც უნდა დავიბრუნოთ.**

— ამ ხელისუფლებისთვის პრორუსულობის დაბრალება დიდი უსინდისობაა. სწორედ მის პირობებში მიიღეს საქართველო ევროკავშირის ასოცირებულ წევრად, რაც სტატუსზე მეტია; გაუქმდა სავიზო რეჟიმი; მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი; 5 ივლისის მოვლენებში მონაწილე ბიჭები ციხეში ჩასვეს იმ დროს, როცა ეგრეთ წოდებული კოლექტიური ნაცების წარმომადგენლები ყველა გარეთ გამოუშვეს ზოგი ევროკავშირის მოთხოვნით, ზოგიც ზურაბიშვილს შეაწყალებინეს. სააკაშვილიც ოროთახიან ლუქს-პალატაში ნებივრობს იმის ნაცვლად, რომ სასჯელს ციხეში იხდიდეს.



ვიმეორებ, ამ ხელისუფლებისთვის პრორუსულობის დაბრალება უსინდისობაა. გაიძახიან, ხელისუფლება სანქციებს არ უერთდებაო. თუ დაფიქრებულან, რუსეთისთვის სანქციების დაწესება რას მოასწავებს?! — იმას, რომ ზამთარში არ გვექნება გაზი, საწვავი და ასე შემდეგ. პრორუსულობის დაბრალება დემაგოგიაა. მე ვამბობ: მიუხედავად ჩვენი ევროპული გეზისა, უნდა დავიწყოთ რუსეთთან დევნილების უპირობო დაბრუნებაზე მოლაპარაკება. ვინც ამბობს, რუსეთს არ უნდა ველაპარაკოთო, ვეკითხები: აბა, სხვა ვინ დააბრუნებს დევნილებს თავიანთ ტერიტორიაზე?! ვერც აფხაზეთის და ვერც ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის მთავრობები ამას ვერ შეძლებენ, ინიციატივა რუსეთისგან უნდა წამოვიდეს. დევნილების დაბრუნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება. ეს მხოლოდ რუსეთზე არ არის დამოკიდებული. 2015 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დადგენილება დევნილების უპირობო დაბრუნებაზე, რაც რუსეთმა დაბლოკა. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ წელსაც დაადასტურა, რომ ამ მხრივ პოზიცია არ შეუცვლია. ასე რომ, რუსეთთან მოლაპარაკებები უნდა დავიწყოთ. ეს ჩვენი ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებაც იყო. ლავროვმა განაცხადა, რუსეთი წინააღმდეგი არ არის ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა ერთიანი სახელმწიფო შექმნანო.

**— ბატონო სოსო, 169 არასამთავრობო ორგანიზაციამ და ოპოზიციონერმა ქალებმა ლაიენს მიმართეს, სტატუსი მოგვეცითო. ადრე საქართველოსთვის სანქციების დაწესებას ითხოვდნენ. რა შეიცვალა?**

— არაფერი შეცვლილა, ვითომ კი ითხოვენ, სტატუსი მოგვეცითო, მაგრამ მათ მიმართვაში წერია, რომ: საქართველოს ხელისუფლება არ ასრულებს 12-პუნქტიან დავალებას, მისი საგარეო პოლიტიკა ევროპას შორდება, ხელისუფლებას ლანძღავენ და ბოლოს წერენ, სტატუსი მოგვეცითო. იცით, ეს რას მაგონებს? — ავადმყოფი საავადმყოფოში რომ მიიყვანო და ექიმებს უთხრა, არ უმკურნალოთო. თუ მართლა მივიღეთ სტატუსი, მერე იტყვიან, აი, ჩვენც ხომ ვითხოვდითო. ასეთი ფლიდური, ორმაგი სტანდარტის მქონე პოლიტიკური მოთამაშეები არიან მეხუთე კოლონის წარმომადგენლები.

**— თუ სტატუსი მოგვცეს, რა იქნება ოპოზიციის მომდევნო გეგმა?**

— სტატუსის მონიჭების შემთხვევაში ეგრეთ წოდებული ოპოზიცია საერთოდ გაბანკროტდება, სახელმწიფო გადატრიალების გეგმაც ჩავარდება, რაც დიდი ხანია, მუშავდება და ფინანსდება არამარტო სოროსის ფონდიდან, არამედ USAID-ისგანაც. თუ სტატუსი მოგვცეს, ოპოზიცია დაიწყებს ყაყანს, ყეფას, კანდიდატობა არაფერს ნიშნავს, როცა ქვეყანა რუსული ძალისგან იმართებაო. სხვა არაფერი დარჩენიათ. ხოლო თუ სტატუსს ვერ მივიღებთ, დიდი ალბათობით, არეულობა დაიწყება. ოპოზიციას დიდი დაფინანსება და საინფორმაციო მხარდაჭერა აქვს სამი ტელევიზიიდან, რომლებიც დილიდან საღამომდე შხამს აფრქვევენ. ამ ტელევიზიების სარჩენი ფული საქართველოში თავისუფლად, კანონდარღვევით შემოდის. მათი უცხოელი დამფინანსებლები ლიმიტზე გაცილებით დიდ თანხას გზავნიან და მათ ბუზსაც არავინ უფრენს.

**— ოპოზიციაში ბევრი ფლანგი შეიქმნა, აგერ, მელიაც პარტიის დატოვებას გეგმავს. ვინ არის დღეს ოპოზიციის მთავარი ვიოლინო?**

— ოპოზიციის მთავარი ვიოლინო, პატიმრობის მიუხედავად, სააკაშვილია. დანარჩენი, კოლექტიური ნაცები ერთმანეთთან არიან დაპირისპირებულნი, ვერ იტანენ, სძულთ ერთმანეთი. ასე იყო მაშინაც, როცა ხელისუფლებაში იყვნენ. მომსწრე ვარ, როგორ ჭამდნენ ერთმანეთს ხელისუფლებაში ყოფნისას. ახლა დაშლილები, დანაწევრებულები, ერთმანეთის მხილებით არიან დაკავებულნი. გახსოვთ, კანდელაკი ევროპაში კაბინეტიდან კაბინეტში დადიოდა და იხვეწებოდა, საქართველოს უვიზო რეჟიმი არ მისცეთო. ალბათ, ევროჩინოვნიკებისთვის ძვირფასი საჩუქრებიც ჩაჰქონდა და ფულსაც ურიგებდა. სწორედ მერე გაირკვა, რომ ევროპარლამენტარები კორუფციაში იყვნენ ჩაფლულნი. ბევრი მათგანი დაპატიმრებულია, ბევრზე საქმეა აღძრული, ზოგიც იძებნება. ახლა ახალი კანდელაკები გამოჩდნენ. უსუფაშვილმა განაცხადა, ევროპაში ვიყავი და ვიცი, რომ არაფერი არ არის გადაწყვეტილიო. დეკანოიძე ახლა სხვებისკენ იშვერს ხელს, მაგრამ გამორიცხული არ არის, თავადაც იგივეს აკეთებდეს.

**— ზურაბიშვილზე ამბობენ, ოპოზიციის ლიდერობისთვის ემზადებაო.**

— ზურაბიშვილი ვერანაირი ლიდერი ვერ გახდება. როცა მან საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დატოვა, თქვა, ქაჯები კი არ მიდიან, მოდიანო. მაშინ იპოდრომი ხალხით გაივსო. მას ოვაციით შეხვდნენ, მაგრამ ზურაბიშვილმა ლიდერობა ვერ შეძლო. ეს ადამიანები პარლამენტისკენ დაძვრის ნაცვლად, სახლში გაუშვა — არჩევნებისთვის მოემზადეთო, სადაც 2% მიიღო. არადა, მაშინ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, თეთრ ცხენზე იჯდა. მერე სააკაშვილის წინააღმდეგ იბრძოდა, ჩვენთან ერთად იყო ბარიკადებზე. ამის მიუხედავად, ყველანაირი რეიტინგი დაკარგა. „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა რომ არა, დეპუტატიც კი ვერ გახდებოდა. და მოგვევლინა კიდეც პრეზიდენტად, რაშიც ჩვენს პარტიასაც მიუძღვის წვლილი. არჩევანი ასეთი იყო: ან კაგებეს ნომრიანი აგენტი, შპიონი ვაშაძე უნდა აგვერჩია, ან ზურაბიშვილი. სალომე ლიდერი ვერ გახდება. ეს ქალბატონო პოსტს ბოლო დღემდე არ დატოვებს, რაც მისთვის საოცნებო, საარაკოა, რაც ივანიშვილის დამსახურებით ერგო. სამწუხაროდ, იგი თავის გამაპრეზიდენტებელ „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდა. ზურაბიშვილი მერყევი ადამიანი გახლავთ, პოლიტიკურად ვერ დაეყრდნობი. ამიტომ მისგან ლიდერი არ გამოვა.



**თამარ შველიძე**



„ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის" მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში „გლობალური ტერორიზმის ინდექსი", ტერორიზმის გავლენის კრიტერიუმით შეფასებისას, საქართველომ ისევე, როგორც რამდენიმე ათეულმა ქვეყანამ, ბოლო ადგილი დაიკავა, რაც გულისხმობს, რომ 2023 წელს საქართველოში ტერორისტულ ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია.

ტერორიზმი ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. კონტრტერორისტული საერთაშორისო კოალიციის ფარგლებში საქართველო ძალიან დიდი კონტრიბუტორია. სუს-ის ოფიციალური განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე 2023 წლის განმავლობაში არ შეინიშნებოდა არც რეკრუტირების, არც ტერორისტული მოწოდებების ფაქტები. თუმცა, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომმა, შესაძლებელია, პრობლემები შექმნას, მათ შორის, საქართველოსთან მიმართებაში.

რა საფრთხეების წინაშე დგას ქვეყანა? რას უნდა ველოდეთ? ამ და სხვა საკითხებზე გთავაზობთ ინტერვიუს უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტთან **დავით კუხალაშვილთან**.

# ურთულესი პრობლემის წინაშე ვდგავართ, რომლის მოგვარება რთულია

**- ომი ახლო აღმოსავლეთში უკიდურესად მწვავე ფაზაში შედის. ომია ევროპის კონტინენტზე. იმის პროგნოზირება, როდის და როგორ დასრულდება ომი, რთულია. პარალელურად, პალესტინის მხარდასაჭერი აქციები იმართება მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში, კერძოდ, მარნეულში. ბატონო დათო, შეიძლება ითქვას, რომ ბეწვის ხიდზე გავდივართ?**

- ასეთი პროტესტის ორგანიზება არ შეიძლება, სპონტანური იყოს. ალბათობის მაღალი ხარისხით, ეს გახლავთ კონფლიქტში მონაწილე მხრის მიერ მყარად ორგანიზებული სადაზვერვო პროცესი. კერძოდ, მნიშვნელოვანი თანხებია გადაქაჩული სწორედ იმ სახელმწიფოებში, სადაც ამ პროტესტის სახეობას ვხვდებით. ჩავთვალოთ, რომ საპროტესტო გამოსვლები საომარი მოქმედებების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია. აქციები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია იმ საომარი პროცესისა, რომელიც ამ ორ მიმართულებაზე ფიქსირდება.

**- ანუ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია სადაზვერვო პროპაგანდის სახით?**

- რა თქმა უნდა.

**- როგორც უკვე აღვნიშნეთ, პალესტინის მხარდამჭერი აქცია დაფიქსირდა მარნეულში, სადაც ჩვენი მუსლიმი მოქალაქეები ცხოვრობენ, პანკისის ხეობაშიც ასეა. რამდენად შესაძლებელია, ეს რეგიონები გახდეს მოწყვლადი გარკვეული ძალების მიერ თუნდაც პროვოკაციების მოწყობის კუთხით?**

- ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რელიგიურად თანხვედრილი ჯგუფები მოხვდნენ დაინტერესებული ქვეყნების ინტერესების ზეგავლენის ქვეშ და ისინი გამოიყენონ სადაზვერვო პროპაგანდისათვის, რათა შეიქმნას სათანადო საზოგადოებრივი აზრი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ამ შემთხვევაში მე არ შევჩერდებოდი მხოლოდ რელიგიურ ჯგუფებზე. ჩვენ ცოტა უფრო შორს უნდა გავიხედოთ. შესაძლებელია, რომ ეთნიკურად არათავსებად, მაგრამ რელიგიურად მონათესავე ჯგუფებშიც კი შეღწევა შესაძლებელი გახდეს.

**- რას გულისხმობთ?**

- ჩვენ ორ მნიშვნელოვან ტერიტორიაზე ვისაუბრეთ - ეს გახლავთ პანკისის ხეობა და მარნეული, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანლები და ეთნიკურად ჩეჩნები ცხოვრობენ. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ორი რეგიონი არ არის საკმარისი. ამ ეთნიკური ჯგუფების გარდა, უნდა ვიგულისხმოთ იმ კონფლიქტში და, ზოგადად, პროპაგანდის ორგანიზატორი მხარის, სახელმწიფოს დომინანტი რელიგიური ჯგუფების თანხვედრი ჯგუფების არსებობა საქართველოში. მასშტაბი უფრო დიდია, ვიდრე ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ.

**- რა საფრთხეები არსებობს ამ რეგიონებისთვის?**

- გააჩნია გეგმას, რა გეგმაც არის გაწერილი იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ამ ჯგუფებს მართავენ. ასევე, გააჩნია ფინანსურ შესაძლებლობებს და პოლიტიკური თვალსაზრისით მორალური მხარდაჭერის შესაძლებლობას. ვფიქრობ, რომ პირველ ეტაპზე ყველაფერი კეთდება საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის, რათა შეიქმნას კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი აზრი, როგორც საქართველოს შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე მხარდაჭერის თვალსაზრისით. მეორე და შემდგომ ეტაპზე ყველაფერი დამოკიდებული იქნება მოვლენათა ხარისხიდან გამომდინარე, რა მოვლენები განვითარდება საომარი მოქმედების ზონაში.

**- რეგიონები, რომელიც თქვენ დაასახელეთ, ნამდვილად მოწყვლადია, განსაკუთრებით პანკისის ხეობა. სირიაში მიმდინარე ომის პარალელურად ხეობიდან დაიწყო გადინების პროცესი. თითქოსდა სამუშაოდ მიდიოდნენ თურქეთში და ამ მოტივით გავიდნენ ქვეყნიდან, საბოლოო ლოკაცია იყო სირია. რამდენად შესაძლებელია, ასეთი ბმა აღმოჩნდეს ახლო აღმოსავლეთის შემთხვევაშიც?**

- ზუსტად ამ თემაზე ვაკეთებ აქცენტს, როდესაც ვსაუბრობ, რომ სასურველი საზოგადოებრივი აზრის მობილიზება უნდა მოხდეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე.

**- ბატონო დავით, რა დატვირთვა აქვს ქვეყნის შიგნით მხარდამჭერი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას?**

- რა თქმა უნდა, მათ ჰყავთ თავისი სამიზნე რელიგიური ჯგუფები და, შესაბამისად, როდესაც შეიქმნება სათანადო განწყობა, ამის შემდეგ აბსოლუტურად შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ანალოგიური ქმედებები განხორციელდეს სწორედ ამ კონფლიქტში საქართველოს მოქალაქეების ჩართვის კუთხით. რა თქმა უნდა, არაოფიციალურად, მაგრამ იგივე მოდელით, რაც უკვე იყო აპრობირებული საქართველოსთან მიმართებაში სირიის კონფლიქტის დროს.

**- რაც შეეხება საფრთხეებს, გარდა მხარდაჭერისა, დაპირისპირება დაიწყო რელიგიურ ნიადაგზე. ექსტრემიზმის ნიშნები სახეზეა. როგორ ფიქრობთ, ანალოგიური საფრთხის წინაშე დგას საქართველო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გარკვეული ძალები დაინტერესებული არიან საქართველოში პროცესების რადიკალიზაციით?**

- ამ შემთხვევაში აგენტურულ-ოპერატიული ღონისძიებების გასააქტიურებლად განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კონფლიქტის მონაწილე მხარეების ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობა, რათა ჩვენს ქვეყანაში არ მოხდეს ამ ჯგუფების მხრიდან და ამ ჯგუფებს შორის კონფლიქტების ინსპირირება.

რა თქმა უნდა, სალოცავები, მასობრივი თავშეყრის ადგილები შეიძლება არ იყოს ტერორისტული აქტების ორგანიზებისთვის გამოყენებული, მაგრამ სხვადასხვა სახის კონფლიქტების ინსპირირებისათვის, ფიზიკური დაპირისპირებისათვის, შეიძლება გამოყენებული იქნას. შეიძლება იყოს კულტურული ძეგლების შეურაცხოფა, ფიზიკური შევარდნა და ფიზიკური ანგარიშსწორება. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს საელჩოები, რომლებიც მსოფლიოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული დაცვის ქვეშ უნდა იყვნენ აყვანილი.

ასე რომ, საკმაოდ დიდი და სერიოზული საზრუნავი გვაქვს და პრობლემას კომპლექსური მიდგომა სჭირდება. არა მარტო რელიგიური და ეთნიკური ჯგუფები, არამედ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დიპლომატიური კორპუსი და იმ სახელმწიფოების წარმომადგენლობები, რომლებიც ამ კონფლიქტში მონაწილეობენ და პირდაპირ თუ ირიბად მხარს უჭერენ ერთ, ან მეორე მხარეს, რა თქმა უნდა, დაპირისპირებულ მხარეების სამიზნე ობიექტები არიან. სამიზნე ობიექტები საკმაოდ ბევრი გვაქვს სახელმწიფოში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საფრთხე ცალსახად სახეზეა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, საქართველოში არ იქნას დაშვებული ქუჩის პროცესები.

**- სურვილი ერთია, მაგრამ მეორეა, რამდენად შესაძლებელია ეს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში. მმართველი გუნდი გეგმავს, განაგრძოს კონსულტაციები ევროპელ პარტნიორებთან, რათა ორგანიზაციიდან „ევროპული ფონდი დემოკრატიისთვის" აღიკვეთოს საქართველოში ექსტრემიზმის დაფინანსება...**

- ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ურთულესი პრობლემის წინაშე ვდგავართ, რომლის მოგვარება რთულია, მაგრამ მის მოსაგვარებლად სახელმწიფოს გააჩნია სპეცსამსახურები, რომელთა პასუხისმგებლობა განსაკუთრებით გაზრდილია ასეთ ვითარებაში. ერთიანობის მიღწევა, ჩათვალეთ, რომ გამორიცხულია. მით უმეტეს, რომ ჩვენ წინ გვაქვს საარჩევნო წელი. ეს იქნება, ალბათ, ერთ-ერთი ურთულესი წელი საქართველოს ისტორიაში და გარდამავალი პერიოდი გარკვეული ორბიტის ცვალებადობის თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება.

ამიტომ არის კიდევ უფრო საყურადღებო სწორედ ის, რაზეც თქვენ აქცენტს აკეთებთ და რაზეც მე პასუხს გცემთ, რომ ეს პროცესები, შესაძლებელია, პოლიტიკური მიზნებისათვის იყოს გამოყენებული და ამიტომ, როდესაც მმართველი გუნდი დანაშაულის ნიშნებზე საუბრობს, აუცილებელია შესაბამისი რეაგირება, რათა საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით დროულად მოხდეს კონკრეტული ჯგუფების იდენტიფიცირება და ნეიტრალიზება. თუ ეს მხოლოდ პოლიტიკური პროპაგანდის კონტექსტში გაკეთებული განცხადებაა, ვფიქრობ, რომ ეს ხელს არ შეუწყობს სტაბილური ოპერატიული ვითარების შენარჩუნებას.

**- როგორ უნდა შეძლოს საქართველოს ხელისუფლებამ ამ პროცესიდან უსაფრთხოდ გასვლა, რომ შეინარჩუნოს სტაბილურობა და არ აღმოვჩნდეთ ჩვენს გარშემო მიმდინარე პროცესებში? ურთულესი ვითარებაა მსოფლიოში, დაძაბულობა თითქმის ყველგან იგრძნობა.**

- ვფიქრობ, რომ აშშ-ის პოლიტიკა არ შეცვლილა, უბრალოდ, აღნიშნულ სიტუაციაში, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ახალ ელჩს უფრო დიდი გამოცდილება აქვს, ვიდრე ყოფილს. მას საკმაოდ მაღალი ინტელექტუალური მზაობა გააჩნია, რომ, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს. ვფიქრობ, რომ ვითარება უკეთესობისკენ არ შეცვლილა. ამ მიმართულებით თუ რაიმე კონკრეტული ინტერესები გააჩნია აშშ-ს, შეიძლება ვითარება კიდევ უფრო საშიში გახდეს, რადგან ყოფილმა ელჩმა მნიშვნელოვანი შეცდომები დაუშვა.

ამიტომ ვფიქრობ, რომ დღეს უფრო გაწონასწორებულ და უფრო საშიშ მოღვაწესთან გვაქვს საქმე, ვიდრე გვყავდა. რაც შეეხება თავიდან აცილების პროცესს, კიდევ ერთხელ ვიტყვი, თუ სახელმწიფოს ამ მიმართულებით რისკები და საფრთხეები იდენტიფიცირებული არ აქვს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ პროცესიდან დაზიანების გარეშე გამოვიდეთ. მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ამ კუთხით სახელმწიფო გარკვეულწილად მზად არის ბრძოლისთვის, თუმცა, კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ვერ ვაფიქსირებთ ბალანსს.

ვფიქრობ, რომ მტრული ძალა საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ამ წინააღმდეგობის გადალახვა შეიძლება კიდევაც გაუჭირდეთ საქართველოს სპეცსამსახურებს. ამას ყველაფერს ხელს უწყობენ საკანონმდებლო ორგანოში მოღვაწე პირები და პირთა ჯგუფები. თუ გავითვალისწინებთ მათი განათლების დონეს, აღქმის კოეფიციენტს სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებით და კიდევ ბევრ რაიმეს, რაც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს პარლამენტში მოღვაწე პირს, ვფიქრობ, რომ ისინი, გარკვეულწილად, ხელს უწყობენ დესტაბილიზაციის ინსპირირებას.

არ მინდა დავიჯერო, რომ ამას აკეთებენ რომელიმე სახელმწიფოს ინტერესის დასაკმაყოფილებლად. რაც ჩვენთან ხდება, დესტაბილიზაცია და ვითარების დაძაბვა, ეს რომ დაინტერესებული უცხო ქვეყნის ინტერესებშია, ეს ცალსახაა, მაგრამ არ მინდა იმის დაჯერება, რომ ეს პირები ამას მიზანმიმართულად აკეთებენ უცხო ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ.



**ანი გოდერძიშვილი**

# შუბლისძარღვგაწყვეტილებო, რამ შეგაძულათ საქართველო?!



პატარა ვიყავი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ჩემი სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს ყვირილის დროს შუბლზე ლურჯად ებურცებოდა რაღაც. ნანახი იმდენად ჩამრჩა გონებაში, რომ სახლში მოსულმა მაშინვე გამზრდელ ბებიას მოვუყევი. ბებიაჩემმა შეიცხადა, რა აყვირებს ასე, მტრისას, თუ გაუწყდა, გაფშეკს ფეხსო. ისე შემეშინდა, სარკეში კარგახანს ვითვალიერებდი შუბლს და კმაყოფილი ვიყავი, რომ მე არაფერი მეტყობოდა.

ცოტა რომ წამოვიზარდე, ყური მოვკარი, რომ მამაკაცის ნამარხ უძველეს თავის ქალებს, უმეტესად შუბლის ძვალი ჰქონდათ გახეთქილი, რადგან იმ დროში მხოლოდ თავში სახათქუნებელი იარაღები იყო და ისევ გამახსენდა იმ სახიფათო ძარღვის გაწყვეტა შუბლზე.

ცოტა კიდევ რომ წამოვიზარდე, ნოდარ დუმბაძის მოგონებას გადავაწყდი, თხილი რომ მოიპარა და მოხუცმა დაარიგა, შუბლის ძარღვი აქვს ადამიანს, ის თუ გაუწყდა, მერე ძალიან იოლია ცხოვრებაო. ნეტავ, სიკვდილი რანაირად არის იოლად საცხოვრებელი, — ერთი კი გავიფიქრე და სათამაშოდ გავიქეცი.

უკვე მოჩიტული ვიყავი, როდესაც ისე გავამწარეთ ჩვენს კლასში დროებით შემოყვანილი მათემატიკის მასწავლებელი, რომ სასწავლო ნაწილს უთხრა, ასეთი შუბლისძარღვგაწყვეტილი ბავშვები, როგორიც VIII³ კლასში არიან, არ მინახავსო. მხოლოდ მაშინღა ჩავეძიე შუბლის ძარღვის გაწყვეტის „საკითხს" და ბებიაჩემის შეცხადება და იმ მოხუცი კაცის შეგონებაც ადვილად დავაკავშირე ერთმანეთთან.

ნამდვილად იოლი იქნება ცხოვრება, როდესაც შუბლის წილი, ყველა ხალხში, ნებისმიერ ეპოქაში სიბრძნის, კეთილშობილების, სათნოების, გულისხმიერების, სინდისის, ნამუსის, მორალის, სამართლიანობის, კანონმორჩილებისა და ადამიანურობის „სადგომში" მათი დამაკავშირებელი ძარღვი გაგიწყდება და ჩვეულებრივი უნამუსო, უსინდისო, მატყუარა და უპირო არსება გახდები — ფაქტობრივად, მკვდარი ხარ, როგორც ადამიანი, აბა, რა ხარ?

თვალს ვადევნებ, რა დღეში არიან საქართველოს მაოხრებელი გზირები და ვფიქრობ, ამდენი შუბლისძარღვგაწყვეტილი რანაირად ვშობეთ ამ პატარა საქართველოს წიაღში, ან აქამდე როგორ გვიდგას სული.

მართალია „ის" კაცი, ნებისმიერ ქვეყანაში სასურველია, რომ ოპოზიცია იყოს ძლიერი, თუმცა აქ მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჩვენთან ე.წ. რადიკალური ოპოზიცია ოპოზიცია კი არა, აგენტურაა!

ვისგან დავიწყო, ვინ მეტად გამოდგება შუბლისძარღვგაწყვეტილთა ბელადად, ველარ დამიწმინდავებია, ოკენისგალმიდან, „შიგ ევროპიდან", თუ ჯერ სახლში მოვიკითხო?

საქართველოს პრეზიდენტად დადებული რეზიდენტი-პრეზიდენტისგან ხომ არ დამეწყო, ახლახან ისევ რომ გამოგვენთო, როცა პრეზიდენტი ხდები, ხდები ყველას პრეზიდენტი, აღარა ხარ ვინმეს არჩეული. მასაც აღარ აქვს უფლება, გითხრას, მე აგირჩიე, შენთვის ვირბინე და აბა, რას აკეთებო.

ეს ქალი ჩამოსხმული შუშურიკაა, თუ თავს იშუშურიკებს?

ამ ქალს, ვფიქრობ, დაბადებისთანავე არ ჰქონდა შუბლის ძარღვი...

კაცმა რომ თქვას, არც უნდა იყოს გასაკვირი, ჯერ მისი მაკაროვა ბაბო რას საქმიანობდა და მერე ნიკა გვარამიამ რეები „გაუიასნა". ეტყობა, გენეტიკურად სჭირს შუბლისძარღვგაგლეჯილობა...

ერთი ამ კელი დეგნანის ნაქონ ცოცხს დამიხედეთ, ამ ნაცფუფალას!

საპრეზიდენტო ბილბორდებზე ეს რა ხალხი გამოსახეს, საპრეზიდენტო ქალი სად არისო, — ხალხს უკვირდა და ახლა ამაზე იშტერებს თავს, ვითომ არ იცოდა, რომ არავის უნდოდა ამ ფრანგული ბაღლინჯოსა თუ ჩოქელას საქართველოს თავზე აცოცება.

ერთი ისღა დარჩა, საკუთარი ნათქვამი „არა და არასოდეს" გადაიხიოს „პრიჩოზე" და თავისი დიდი ბებიის ღირსეული შვილთაშვილი იქნება. ხელის მოწერა ისე უყვარს, ოღონდ უბრძანონ უცხოელმა ბოსებმა (ამ შემთხვევაში, ევროპელმა) და თვალჟუჟუნა ღიმილით მოაწერს, ისეთი მონგრეული სახით კი არ მოიმარჯვებს კალამ-კალმისტარს, როგორც „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანაზე მოაწერა. რა სახით აწერდა, თითქოს ღამე ერთად გაათიეს მან და თეონა აქუბარდიამ და ვახტანგურად უჯლაყუნებდნენ „ტელეგრეიკის არაყს", „პახმელიაზე" კი, რაც არ უნდოდა, ის გააკეთებინეს.

ყველა მათგანი ერთმანეთზე უარესი შუბლისძარღვგამობრდღვნილია, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და მათი გაცალკევება როგორ იქნება, — ჰოლანდიური ჯიშის თავქოჩორა ქათმად გადაქცეული გვარამია მივადევნოთ. ამ ჩვენის უგავლენო გავლენის აგენტის შეწყალებულს, ჯერ იმის უნდა რცხვენოდეს, რომ ციხიდან იმ ქალის შეწყალებულზე გამოკაკანდა, რომლის ნაწყალობევ „სვაბოდაზეც" უარს ამბობდა და საკუთარი გადაფურთხებული ალოკა, ხოლო შემდეგ იმის, რომ საკუთარი ინტელექტი ისე ფუჭად გალია, რომ „ჯულიეტოვნას" მეწყვილედღა მოიხსენებენ „ჩაჯვისთან" ერთად.

რა დააყიყლიყოვა, არც დავინტერესდებოდი, ოროიდე საგულისხმო სიტყვა რომ არ ეთქვა: „სტატუსის მონიჭება ქვეყნის გამარჯვება და „ქართული ოცნების" და რუსეთის სასჯელი იქნება და ისე არ უნდა გავდღაბნოთ სიტუაცია და დავეხმაროთ პროპაგანდას, რომ მათ გამარჯვებად გავაყიდინოთ. სტატუსის საკითხის გადავადება ვერც ოპოზიციიის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული (თავი რომ მოიკლას პროპაგანდამ, მაინც) და ვერც რევოლუციურ სიტუაციას შექმნის — მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების როლს და აუცილებლობას გამოკვეთავს და გააძლიერებს. აი, არჩევნების გაყალბება კი, რა ვითარებას შექმნის და რას მოიტანს, ეს უკვე სხვა საკითხია და 2024 წელს მივუბრუნდეთო".

ლაკონიელი ყმაწვილი ლაკონიურად ლაკონურად ამბობს, ნაკერავზე რომ ვიხეოდით და გვერდსა თუ ზურგსუკან ჩვენი უცხოელი „მეგობრები" გვედგნენ, მაშინ ვერაფერი მოვახერხეთ, ახლა ველარ ვაქლიავებთ ხალხს, პირიქით, ჩვენებიც კი გაგვირბიან და რევოლუციურ სიტუაციას ნაღდად ვერ შევქმნით, მაგრამ რაცხას გავახერხებთ 2024 წლისთვის, გაყალბების კამპანიას უნდა მივაწვეთო. მიაწექით ხოლმე ზოგჯერ და ხანდისხან, მა როგო გინდათ, უეკლოდ ვარდი ვის მოუკრეფიან?

რისი იმედი აქვს, ნეტავ, უკვდავმა ბელადმა რომ თქვა, ვინც პარლამენტარი არ ყოფილა, ისინი უნდა წამოიწიონ წინა პლანზეო და მის ტრანგალეტკაზე უნდა შეფრთხიალება? ურჩევნია, ის ყავისფერი შარვალი მოიძიოს, ძაან ზმანზე რომ აყენებდა, ერთი ფუთი რომ ჩაესვარა, დაიტევდა კიდეც და ფერსაც არ შეეტყობოდა...

ამ ქათმუშკას ბარემ მის უკრაინელ მეგობრებს მივაბამ, იქ რომ იყო, ხომ რაღაც ჯილდო გადასცეს უკრაინის რაღაცის რაღაცისთვის, ხალხი რომ იცინოდა, ტიპი ციხეში იჯდა, რა წვლილი შეიტანაო. ამათ წვლილებისას რას გაიგებ, ვისი წვლილი ვისაშია, თვითონ ველარ გაურკვევიათ.

რას ყაყანებდა ის უსამშობლო, ვითომ ქართველი რუს-უკრაინელი, მოჩიტულ ზღარბს რომ ჰგავს?

რას მიმართავდა საქართველოს ხელისუფლებას, თუ ევროკავშირში მართლა გინდა, აგენტების კანონს არ დაარეგისტრირებო. უკრაინაში კანონის ავტორს პარლამენტიდან გააგდებდნენო?

ახლა რას ყაყანებს ანონსად, რა კანონპროექტი ლობირების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ ინფორმაცია თავიანთი დონორების შესახებო? ამანაც იქით დაახვიოს, ამ ფულისტმა ზღურბლმა, არესტოვიჩს დაედევნოს გალკაში!..

უკრაინულ მხარეს აღარ განვავრცობ, თავისი გასჭირვებიათ, თავიანთივე მსგავსმა შუბლისძარღვგაწყვეტილებმა ისე ბოლომდე ამოუპუტეს შუბლის ძარღვი, რომ საკუთარი სამშობლო, ამხელა უკრაინა, მიწასთან გაასწორებინეს, ახალი სამხედრო ტექნიკის გამოსაცდელ პოლიგონად მიართვეს ვეშაპებს და მათი კიჟინით, მეგობარ საქართველოსაც მოგვაძულეს თავი...




ეს ტიპი, რომ გამომდგარა, „კანდიდატის სტატუსს თუ მოგვცემენ, ეს მაგარი ამბავი იქნება, მაგრამ ეს უკრაინასთან და მოლდოვასთან ჩვენს ჩამორჩენას ვერ აღმოფხვრისო," — ბენზინგასამართი სადგურის უშუბლო მშიერი ვირთხა (მერაბ მეტრეველი) რომ გამოვარდისფრდა, რითი ჩამოვრჩით დსთ-ში გაჯგიმულ მოლდოვას და მოკლულ-გაპატრახებულ უკრაინას, საქართველოს 26 000 რჩეული ვაჟკაცი რომ არ შევწირეთ ზვარაკად მავანთა გეგმებს და რუსული ავიაგამანადგურებლების სამიზნედ არ ვაქციეთ: თბილისი, ბათუმი, თელავი, ქუთაისი, ზუგდიდი, გორი და ყველა ის მიდამო, სადაც სამხედრო ნაწილებია განლაგებული? გაუგია სიტყვები, განგებას შემთხვევით ჟურნალისტის სტატუსი უთხლეშია და ჰგონია, თუ სიტყვებს რამენაირად დაალაგებს, რაღაც აზრიანს ამბობს... ველარ განავრცო, რა ხეირი ნახეს „პრადვინუტებმა" და სადაც სიტყვები გაუთავდა, იქაც ჩამოჯდა.

ტვინის ასეთი პრიმიტიული ნაჟური რომ აქვთ, იმიტომაც დასდევენ ერთმანეთს და ხან პოლიტიკურ „ჟოპასტენკობანას" თამაშობენ და ხან „თვალხუჭობანა-გაშეშობანას" ნაზავს... შუბლის ძარღვი აღარ აქვთ და გზააბნეული ფაროსანებივით ხმამაღალი ზუზუნით უბერავენ...

ეს ვიოლა და ურსულა დეიდებიც რა კაი „მასალები" არიან, ხან ჭრიან და ხან კერავენ, მაგრამ კარგად კი აბოლებენ ამბიციურ არარაობებს. ერთი რომ დააბოლეს, მისდით და მისდით ულევი შუბლები ძარღვის ამოსაკვეთად. თავის ტვინის სისხლძარღვოვანი პათოლოგიების ცვენა გაქვსო, დაუსკვნიან, დაატრენინგებენ წამლად, კრუასანის საყიდელ ფულს მისცემენ ევროპული კურსით და წკაპ! აღარ არის შუბლის ძარღვი!

შემეცოდაღა ზელენსკი! ისეთი გამოლენჩებული იდგა დეიდა ურსულას გვერდით, მგონი, არც ესმოდა, რას ამბობდა ყურებამდე გაღიმებული, არადა, პოლიტიკო-

სი გინეკოლოგი დეიდა საქვეყნოდ ამბობდა, ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე უკრაინამ შესანიშნავ შედეგს მიაღწიაო. ზელენსკის თუ ტვინი შეტრიალებული არ აქვს და შუბლის ძარღვი ამოკვეთილი, არ უნდა ეკითხა, მე შენი მაშები კი დავღეჭე, რა შედეგს მიაღწია უკრაინამო?

ის მეორე დეიდა კიდევ, ვეტერინარია თუ აგრონომი, კარგად კი გვიმღეროდა გაზეპირებულ ჰანგზე, მივესალმები რუსული კანონის გაწვევასო და სწორედ მას შემდეგ დაიწყეს ევროპარლამენტში ლაპარაკი „ფარას“ მიღების შესახებ. გაიგე ახლა ამ ტვინის გამოიმასქნების დასტაქრებისა რამე, გარდა იმისა, რომ შუბლის ძარღვი რა არის, არც არასდროს გაუგიათ!..

იუკნევიჩიენეები, კუბილიუსები და მისთანები ერთი ჯოგია, ყველას ჩამოთვლას რა აზრი აქვს, ზოგი საბჭოთა უშიშროების ხაზით გახდა „შიგ ევროპელი“ და ზოგი თავისივე ქვეყნის იმავე დანიშნულების სახელმწიფო ორგანოდან. ასე რომ, მათ იმთავითვე საკუთარი ნება-სურვილით ჰქონდათ ამოკვეთილი შუბლის ძარღვი...

ესენი ჯანდაბას, მაგრამ ვინმე ლელა ჯეჯელავა ვინღაა, ავტორიტეტად რომ დასვეს და მის სიტყვებს დააფრიალებენ, „ოცნების“ ხელისუფლება არის ბარიერი საქართველოსა და ევროპას შორისო.“ ამხელა ქალია, ფასონადაც არსად მომიკრავს თვალი, აქამდე მარსზე ცხოვრობდა, ალბათ, მაგრამ შუბლის ძარღვის ამოკვეთის პროცედურას, ნეტა, მარსზეც აკეთებენ?

ფრიად დამაბნეველი ამბავია, რომ ვიღაცები ვიღაცების დახმარებით სადღაციდან ამოიწვერებიან და რატომღაც საკუთარი თავი ეზმანებათ შუშა კიტრად, ასე რანაირად უწყდებათ შუბლის ძარღვი, ჯადო-შელოცვაც კეთდება ვიღაცის შუბლიდან მის გაქრობაზე?

აგერ თვალნათელი მაგალითი — გახარია-თვალთხარიას ნაუცბათევად შეკოწიწებული პარტია!

მართალია, ვერ გავიგე, ის პატარა გოგონა ვინ არის, მაგრამ „ფლაგებდახეული“ გახარიას გუნდელი რომ ყოფილა, გავიგე. რათა, შვილო, რათა! ჯერ წინ გაქვს ცხოვრება, შუბლის ძარღვის გარეშე ცხოვრება რამ და ვინ გაფიქრებინა! „საქართველოს კანდიდატის სტატუსი აქვს, ოღონდ ამას ვერავინ მიიწერს!“ — გვითხრა მოღიმარმა.

ამ გოგონას ნათქვამი არ მქონდა გააზრებული და ვინმე კახა ქემოკლიძემ გამოანათა: „2024 წელს „ქართული ოცნება“ ერთპიროვნულ მმართველობას დაასრულებს. „ქართულ ოცნებას“ ეს 2020 წელს გაუჭირდა, არჩევნებში, რომლის ფლაგმანი გახარია იყო, მას ივანიშვილზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა.“ ამ კაცს თუ საკუთარი ნათქვამის მართლა სჯერა, უბრალოდ, მებრალება, სხვა შემთხვევაში კი, აბა, ამასა ჰყოლია ჩაწყობილი შუბლის ძარღვის „ნასახლარზე“ ნაცბაღლინჯოს კვერცხები...

ვარაუდში ვიყავი და ოზურგეთის მერობის ყოფილი კანდიდატი, ვინმე გია ცეცხლაძე გამოხტა პოლიტიკურ სარბიელზე, გახარიას პარტიას ვტოვებო. მაღვალაკის პარტიაში შესვლა როდის გვკითხა, გამოსვლა რომ მოგვახსენა?

„მთავარმა თაღლითმა და მოღალატემ, გიორგი გახარიამ, არაერთ ადამიანს აუბნია თავგზა, დრომ და ფაქტებმა კი აჩვენა, რომ ჩვეულებრივი მოღალატე და მატყუარაა... ყველას გვარწმუნებდა, რომ მისი პროექტი „ზევით“, ბიძინა ივანიშვილთან არის შეთანხმებული“, — ასო-ნიშნებით აგრგვინდა გია ცეცხლაძე. არავინ ჩაეძია: თქვენ ჩემის ერთგულო, იმ „ზემოთამ“ განცხადება რომ გაააავრცელა, ხმები მომდის, რომ ასეთი კულუარული ინფორმაციაა, მაგრამ არ დაიჯეროთ, სიცრუეაო, მაშინ სად ბრძანდებოდით, ან აქამდე, ან ახლა რა ხდება თქვენს თავს, ფარსაგი ხომ არაფერია, „მატარებელი-2024“ რომელი ლიანდაგიდან გადის, იმის გაგებაში არ დაგაგვიანდესო...

ეს ჯანდამწვარი წყევლამაისტერი მურმან დუმბაძე რაღას გადაგვეკიდა, ამ ხნის კაცს მაინც რა ძალა დაადგა, რომ შუბლის ძარღვი საკუთარი ნებით ამოიდღლიზა ბეშუმელი ექიმბაშის კარაბადინით? იმიტომაც დადის მცირეაზიური მთის მიწის კურდღლის ყალივით გამომშრალი და: „არ გვეკუთვნის! თუ მაინც მოგვცეს კანდიდატის სტატუსი, 20/30 გარანტირებულია რაც კატასტროფა იქნება!“ — შკვირავს ხელებს.

გვარამიამ რომ აღიარა, ფსიქოლოგიური პრობლემები მქონდა, რაღაცები მეჩვენებოდაო და კრებსითმა ნანუკა ჟორჟოლიანებმა ბანი მისცეს, ჩვენც გვქონდა ასეთი შემთხვევებიო, ვიფიქრე, ეტყობა, გადამდებია-მეთქი და შევკრთი, ხომ არ მეჩვენება — ხათუნა სამნიძე და ხატია დეკანოიძე ერთმანეთს აჰყვნენ და სულ თითო იქნიეს მომთხოვნი ტონით, „შემიძლია დავადასტურო, რომ პარტნიორებში გარკვეულ შეშფოთებას იწვევს კანდიდატის სტატუსზე ოპოზიციის არაერთგვაროვანი გზავნილებიო“; „ოპოზიციაში არიან ადამიანები, რომლებიც სხვა გზავნილებით მიდიან საერთაშორისო პარტნიორებთან და ხელს უშლიან კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესსო“ და ა.შ. — გამოვიდნენ აგერ და თქვან ხმამაღლა იმ ჩემისებმა, ვინც არიან, თუ კაი ტიპობაზე თავს დებენ. იმ ქურთი მეეზოვის ანეკდოტისა არ იყოს, შორენა კი არა, შათლახია ეგაო — ერთდროულად შათლახიც იყო და კაი ტიპიც, სად გაუგიათ, გადარევთ ჩემი გამჩენი!

არა, ესენი შუბლისძარღვგაწყვეტილები არ არიან, შუბლის ძარღვი ადგილზე აქვთ, უბრალოდ, პოლიტიკური ჩანგალისტები არიან, სპეციალურ ჯიშად გამოყვანილი ვირთხები. გგონიათ, ახლა ცივი მჭადი ჭამეს და გონება გაეხსნათ? ნურას უკაცრავად!

გავიხედე და თვალებს არ დავუჯერე!

საქართველოში არსებული 200-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია ერთობლივ განცხადებას ავრცელებს. ორგანიზაციები მიმართავენ ევროკომისიას: „საქართველოში არსებული პრობლემების მიუხედავად, 12 პრიორიტეტის ობიექტურად შეფასების პარალელურად, მოგვეცეს რეკომენდაცია, რომ 2023 წლის დეკემბერში ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს“.

აი, ძმებო, ამას ჰქვია კომპასდაკარგული და საჭემოგლეჯილი გემი შტორმში!

ეს კი ასეა, მაგრამ ამდენი მოღალატე რომ ჰყავს ერს, იმას მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო, ასე გვითხრა კოწიამ და რომ არ მინდა დაჯერება, როგორ დავეთანხმო...

კარგი, 200 თუ არა, 170 ასო-ც რომ იყოს, ცოტაა? ეს ვირის პირიდან გავარდნილი შუბლისძარღვგაწყვეტილები!

ნაცსექტის ლობისტმა ძალად ევროპულმა არარაობამ, კუბილიუსმა, გასაგებად უთხრა საქართველოს მავნებლებს, რომ მთავრობის ქმედებები ფასდება და არა ხალხისა, მაგრამ უწიგნურ რეგვენებს არ შესდით უტვინო თავში, ვერ იაზრებენ განმარტებულს, გამოქლიავებული მავნებლები არიან. ასე თუ არ არის, რას დაუჩემებიათ, ხალხი მიიღებს სტატუსს და არა ხელისუფლებაო?

კი, მაგრამ ესენი იგივენი არ არიან, ამავე წლის 8 ოქტომბერს იმავე ევროკავშირს რომ „შეახსენეს“, საქართველომ 12 რეკომენდაციიდან მხოლოდ 3 შეასრულა, ისიც საეჭვოდ და არ მიანიჭოთ სტატუსი, სანამ სააკაშვილს ციხიდან არ გამოუშვებენ; რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ დააწესებენ; სანამ „სისტემურ ანომალიებს“ არ მოაგვარებენ; სანამ არ შეამცირებენ საარჩევნო ბარიერს 2%-მდე და არ დაუშვებენ წინასაარჩევნო ბლოკების შექმნასო? ახლა „პლასტინკას“ ატრიალებენ, ვითომ ჩვენმა სიმრავლემ გაჭრა თუ კოსტაისავით ბზრიალებენ, „თქვენიანი ვარ მე, თქვენიანიო?“

უცხო ქვეყნის ე. წ. ელიტური, მდიდარი და გავლენიანი აგენტურული გაერთიანების დასახელებები ასე თუ ისე, ყველამ ვიცით, მაგრამ დანარჩენებს გადავხედე ყასიდად და რა ვნახე, არ ვიცი, რეალურად არიან ნჯო-ები, თუ იღადავა ვიღაცამ?

„ყვარლის ევროკლუბი“ („ყვარლის მთების ევროკლუბი“ მაინც დაერქმია ნათლიას, მაგრამ ილიასთან ასოცირება რაღა ევროპა იქნებოდა); ფონდი „ტასო“; „მესხ დემოკრატთა კავშირი“; „პეპა პლუსი“ (მაგ სახელწოდების მგონი, ზოომაღაზიაა ჩემს უბანში) და ა.შ. და ამგვარი გაუგებრობები.

ზოგადად, რა დანიშნულება აქვთ ამ ასო-ებს, გარდა იმისა, რომ უცხო ქვეყნის აგენტურაა და მხოლოდ ქვეყნისთვის საზიანო მოქმედებითა თუ საუბრით არიან დაკავებული, წლებია, მაინტერესებს, პასუხს კი ვერავინ მცემს.



ჭეშმარიტება ერთია — კანდიდატობის სტატუსს იღებს კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები. რადგან ის ხელისუფლება ხალხის არჩეულია და წარმოადგენს ხალხს ისინი (ხელისუფლება და ხალხი) თანაბრად იმსახურებენ ყველაფერს. მოინდომეს ახლა ახალი უკრაინული განზომილებები, „ქართველი ხალხი კარგია, მთავრობა არ უვარგაო“. ვის არ უვარგოდა მშვიდობისმოყვარე მთავრობა, უკრაინაში ახლა არკვიონ...

„ქართული ოცნების“ გუნდისა და, კონკრეტულად, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა, რომ ამ შემთხვევაში, კონკრეტულად, ევროპაში, სხვანაირად დაუწყეს ყურება იმ საქართველოს, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ერთი ჩვეულებრივი ხელგაშვერილი ქვეყანა იყო და „მე“-ობის ნიშან-წყალი წაშლილი ჰქონდა, ფული მიეცა ვინმეს და ფოთის პოლიცმეისტერს ვინ დააცდიდა გახდას ათ თუმნად, ყველა ერთად იშვლეპდა.

ახლა უკვე სხვა სახით წარსდგა მსოფლიოს წინაშე საქართველო — ეროვნული ინტრესების დამცველ-გამტარებლად და საკუთარი სუვერენიტეტისთვის დიპლომატიური გზებით მებრძოლად, ურთიერთობებში კი, მხოლოდ თანასწორობის პრინციპის გათვალისწინების მოსურნედ, რაც ამავდროულად, მის გვერდზე მდგომი საზოგადოების დამსახურებაა და არა ყველანაირი ხლამისა...

ქალბატონებმა, სამნიძემ და დეკანოიძემ კოლეგების ვინაობა არ დაასახელეს, ნამუსზე შეაგდეს „ენასლოკინა კაცები“ და თვითონაც ნამუსიანებად გამოჩნდნენ, მაგრამ რეალურად, საკონსტიტუციო ორგანოს წევრებს ბრალი დასდეს კონსტიტუციის 78-ე მუხლის დარღვევაში. პირდაპირ ვერ დაუმტკიცებს კაცი, რომ სხვა ქვეყნის ინტერსებით მოქმედებდნენ, თორემ სსკ 319-ე მუხლი ესადაგებათ, 8-იდან 10 წლამდე პატიმრობას რომ ითვალისწინებს.



სლოვაკეთის არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი რობერტ ფიცო აცხადებს, რომ მისი მთავრობა „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონის მომზადებას აპირებს. „არაკომერციული ორგანიზაციების ეპოქის ბატონობას ბოლო მოეღება!“ — განაცხადა ფიცომ. საუბარია იმ „რუსულ კანონზე“, რომლის გამოც მარტში კინაღამ მთელი რუსთაველი დაანგრიეს და პოლიციელებს ცოცხლად დაწვას უპირებდნენ პრეზიდენტისგანაც წაქეზებულები, რომელიც იმ აშშ-იდან ამხნევებდა ახალგაზრდებს და სახელმწიფო გადატრიალებისკენ უბიძგებდა, რომელ აშშ-შიც 1938 წელს მიიღეს სწორედ ის კანონი.

ფიცოს თქმით, ყველა უცხოური დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია უნდა იყოს კლასიფიცირებული როგორც უცხოური აგენტი. ახალმა პრემიერმა, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო აღარ იქნება საგარეო ინტერესების რუპორი და სლოვაკეთის ინტერესების შესაბამისად იმოქმედებს.

სლოვაკეთზე (ან სხვაზე) ნაკლები რითი ვართ? ხომ გაირკვა, რომ „ფარა“ რუსული კი არა, ამერიკული კანონია, ახლა რა გვიდგას წინ, რომ ისეთივე სიმკაცრით დაედოს თითი უცხო ქვეყნების ყველა აგენტს?

მრავალგზის მაქვს ნათქვამი და გავიმეორებ, სანამ არ დავინახავ, რომ აღსრულდა, – ყველას და ყველაფერს ის სახელი უნდა დარქვას, რაც რეალურად არის!

პოლიტიკური დაკვეთებისა და რევერანსებისთვის აღარ სცალია საქართველოს!

**კმარა შუბლისძარღვგაწყვეტილი ძღვენიჭამიების პარპაში საქართველოში!**

ვინაიდან საქართველოს მტერს ერთი თავი აქვს, დანარჩენები მასზე მიკრული ტკიპები არიან, მხოლობით რიცხვში მიმართვა ეკუთვნით:

„ფარისეველო, გაუტანელო,  
სხვასთან თავმხრელო,  
შინ ორმოს მთხრელო,  
ნაგავის მყრელო,  
შენ ჭრელო გველო,  
რამ შეგაძულა, სთქვი,  
საქართველო!“

**ზურა ოშხერელი**

# ყიამყრალები



*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, წინა კვირას ოპოზიციონერი ქალების „აღშფოთება“ ალუდა ღუდუშაურისა და ირაკლი ბერაიას სიტყვებმა გამოიწვია. თუმცა, თავად ეს ქალბატონები წლებია, პარლამენტარ მამაკაცებს უშვერი სიტყვებით ლანძღავენ და ამაზე პასუხსაც არავინ სთხოვს...**

— ქართველი ერი „ვეფხისტყაოსანზე“ გაიზარდა. სკოლაში, ალბათ, ყველას დაგვიწერია თემა — „ქალთა სახეები „ვეფხისტყაოსანში“, სადაც პერსონაჟ ქალებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ, რაც სიყვარულს, მეგობრობას, სიკეთეს, ურთიერთგატანას, ქრისტიანულ ფასეულობებს ეყრდნობა. ამას ვერ ვიტყვით ოპოზიციონერ ქალ პარლამენტარებზე. უცხოელმა პარტნიორებმა პოლიტიკურად დაკოდილი აქაური ოპოზიციონერი მამაკაცების — ხაბეიშვილების, მელიების, გუბაზ სანიკიძეების, ხაზარაძეების, პატიკო მანჯგალაძეების, ჭიჭიკო ვაშაძეებისგან ხეირი რომ ვერ ნახეს, ფსონი იმ ქალბატონებზე დადეს, რომლებიც მამინაცვლებისგან — დასავლეთელი პარტნიორებისგან მიღებული ფულის სანაცვლოდ ყველაფერს კადრულობენ.

ზნეობისგან დაცლილები თვალისდაუხამხამებლად ასრულებენ პატრონის დავალებას. წითლიძეები, აქუბარდიები და სხვები ახლა ალაპარაკდნენ, შეურაცხყოფა მოგვაყენესო. გავიხსენოთ, წლების განმავლობაში თავად რა ლექსიკას იყენებდნენ. როცა ყურადღებას საკუთარი უფლებების დაცვაზე ამახვილებენ, რატომ ავიწყდებათ როგორი, შეურაცხყოფა მიაყენეს კორძაიამ, ბოკუჩავამ, სამნიძემ და სამადაშვილმა კულტურის მინისტრს თეა წულუკიანს, როდესაც სიტყვით გამოსვლისას ტრიბუნის წინ გაუფინეს ბანერი, სადაც მთელი მსოფლიოს დასანახად ეწერა: რუსკი კარაბლ იდი ნა ... ეს ზნეობრივი საქციელია?! ესენი „აშარაშკა“ დედაკაცები არიან. „აშარაშკა“ ნიშნავს ზნეობისგან დაცლილს, ენაზე რაც მოადგება, ყველაფერს რომ ლაპარაკობს.

ამ ქალებისგან ყველაფერი მოსალოდნელია. ქალი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“, „ვეფხი და მოყმე“, „გამზრდელი“ წაკითხული აქვს, ისეთ უზნეო საქციელს არ იკადრებს, რასაც ესენი კადრულობენ. ყველაზე დიდი უბედურება, იცით, რა არის? — რასაც ეს ქალბატონები, განსაკუთრებით, 24 თებერვლიდან მოყოლებული, სჩადიან — სამშობლოს ღიად ღალატობენ. მათ სურდათ, როგორმე საქართველო ომში ჩაერთოთ.

საქართველო ღაზას პრელუდია უნდა ყოფილიყო. აი, რა დავალებაზე მუშაობდნენ ჩვენი „სანაქებო“ ოპოზიციონერი ქალბატონები. ღალატის დამადასტურებელ ერთ ფაქტს აქვე მოგიყვანთ: რა გააკეთა ხატია დეკანოიძემ, რომელიც ახლა ბერაიას მისამართით სასამართლოში ჩივილს ემხრობა?! მოვუწოდებ, მომავალი თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს, თავად ხატია დეკანოიძეს სასამართლოში უჩივლონ. რისთვის? — მან სიცრუეში დაადანაშაულა ჩვენი ხელისუფლება, სახელმწიფო, თითქოს საქართველოდან რუსეთის მიმართულებით შავი ხვრელი გადიოდა. ანუ, საქართველო რუსებს უკრაინის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა. რაზე იყო ეს განცხადება გათვლილი? — ერთადერთ რამეზე — როგორმე საქართველო ომში ჩართულიყო. რას გამოიწვევდა ყოველივე, ამის წარმოდგენაც არ მინდა. ამდენად, **ხატია დეკანოიძე საკუთარი ქვეყნის შეგნებული მოღალატეა**. ახლა გავიხსენოთ, რას ამბობდა ყოფილი ზვიადისტი და ამჟამად მიშას თავგადაკლული ქომაგი ეკა ხერხეულიძე – რუსული თვითმფრინავები უკრაინას საქართველოს გავლით ბომბავენო. უბედურება ის არის, რომ სამშობლოს ღალატზე ხელს ფულის გამო აწერენ. მეტიც, ყველას გვახსოვს, ღარიბაშვილის მიმართ როგორ გამოხატავდნენ პროტესტს წითლიძეები — პლაკატებზე პრემიერის სახელი შეურაცხყოფილი ფორმით ეწერა. დიახ, ეს პლაკატები იმ ხალხს ეჭირა, რომლებიც დღეს თავიანთი უფლებების დარღვევაზე საუბრობენ! მამაკაცების უფლებები არ ირღვევა?! ეს ქალები სამარცხვინოები არიან. ქვეყანაში, სადაც ქალის მანდილს ორი დაპირისპირებული ვაჟკაცის შერიგება შეეძლო, ამ ქალებმა ყველა ღირებულება წაბილწეს. ესენი პირიქით იქცევიან — მუშაობენ იმაზე, რომ აქ მტერი შემოიყვანონ. მიმაჩნია, რომ ეს **ოპოზიციონერი ქალბატონები — წითლიძეები, აქუბარდიები, სამადაშვილები, სამნიძეები, დეკანოიძეები და სხვანი კაბაში გამოწყობილი თანამედროვე შადიმან ბარათაშვილები და ყორღანაშვილები არიან**, რომლებიც მტრებს მოუძღვოდნენ, რათა საქართველო აეწიოკებინათ, ბავშვები აკვანშივე მოეხრჩოთ და სისხლის მდინარეები დაეყენებინათ.

**— თქვენ გაიხსენეთ, რა პლაკატი ეკავა წითლიძეს. ცოტა ხნის წინათ მან მდინარაძეს პარლამენტში მონა და ჩმორი ეძახა. ეს არ არის მამაკაცების უფლებების დარღვევა?**

— დიახ, ეს არარაობა მდინარაძეს ბოლო ხმაზე უკიოდა, ჩმორი ხარო. გახსოვთ, რა ამბავში იყვნენ გამჭირვალობის კანონის მიღების დღეებში, რომელიც რუსულ კანონად შერაცხეს. კაცებს პირდაპირ ეუბნებოდნენ: გააჯვით, გაეთრიეთ, იდი ნა ...ო. კომიტეტის სხდომაზე კორძაიას ნერვები არ ეყო და ნინო წილოსანს ბოლო ხმაზე უკივლა, გაჩუმდიო და მაგიდაზე ხელი დაარტყა. სამნიძემ ირაკლი ზარქუას მიმართა, თავს ვიკავებ, რომ არ შეგაგინოო. რომელი ერთი ჩამოვთვალო. წითლიძემ პარლამენტის კიბეებიდან მიაძახა დაჩი ბერაიას, შეგეწერა, დაჩიო. ამ ადამიანების ზნეობრიობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ ხალხის არსებობა სირცხვილია იმ ქვეყანაში, სადაც კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი იყვნენ, რომელთა სიბრძნემ და გამჭრიახობამ დიდებულ ფეოდალთა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აჯანყების მშვიდობიანად დასრულება განაპირობა.

1624 წლის 26 სექტემბერს გაუგონარი გმირობა გამოიჩინა ქეთევან დედოფალმა, როცა მან ქრისტეს სარწმუნოება არ უარყო, ქვეყანას არ უღალატა და ამისთვის ცოცხლად დაწვეს. მისმა გმირობამ დანარჩენი ქართველობა გააერთიანა და 1625 წლის 25 მარტს, ხარებას, ქართველებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით მტერს მუსრი გაავლეს და საქართველო გადაარჩინეს. კოლექტიური ნაცები ამას ვერასდროს გაიგებენ, რადგან ისინი ქრისტიანები არ არიან. მეტიც, ისინი ქრისტიანობას ხმალამოღებული ებრძვიან. ამ ფრთის ერთ-ერთი წარმომადგენელი, „ტვ პირველის“ ჟურნალისტი ეკა მიშველაძე დღისით, მზისით პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე გამოვიდა და განაცხადა, პატრიარქი დააპატიმრეთო. სხვები რას იძახდნენ, გახსოვთ? — მღვდლები გაპარსეთო. ხელისუფლებაში თუ მოვიდნენ, ალბათ, ეკლესიების ნგრევასაც დაიწყებენ. ისინი ისეთ ქართველ ქალებს არ მიეკუთვნებიან, როგორებიც თამარ ვაშლოვნელი და მაია წყნეთელი იყვნენ. დარწმუნებული ვარ, არცერთ მათგანს ფილმი „მაია წყნეთელი“ არ უნახავს. მათში ქართველი არ არსებობს. ისინი ვერ განიცდიან ქართულ ენას. მათთვის ქართული აკვანიც დასაცინია, ქართული სუფრაც, სამზარეულოც. დარწმუნებული ვარ, არცერთ მათგანს დედისგან იავნანაც არ აქვს მოსმენილი.

როცა ამ ქალების „თავდადებაზე“ ვსაუბრობთ, ისიც გავიხსენოთ, როგორ დასდევდნენ ელისო ბოლქვაძეს ნაცების აქტივისტები და მონას ეძახდნენ ადამიანს, რომელმაც საქართველოს სახელი მთელ მსოფლიოს გააცნო. სწორედ ამიტომაც სძულთ, ებრძვიან, რადგან ბოლქვაძის სახით ქართულ ნიჭიერებასთან აქვთ საქმე. თავად კი უნიჭოები არიან, რომელთაც ვერაფერი ღირებული ვერ შექმნეს, გარდა ყიყინისა, აშარაშკობისა და გაუცნობიერებელი ქმედებებისა, რითაც საზოგადოებას თავს ამახსოვრებენ. სინამდვილეში, რა არის მათი მოქმედების მთავარი ლაიტმოტივი და როგორ შევლენ საქართველოს ისტორიაში? — როგორც ყიამყრალი დედაკაცები, ასე თუ დაწერთ, კარგი იქნება, რომლებიც თავისი მყრალი ენით ამყრალებენ ქვეყანას. პრეზიდენტმა, სინამდვილეში კი რეზიდენტმა ზურაბიშვილმა, აშშ-იდან მომიტინგეებს მოუწოდა, სამართალდამცავები ცოცხლად დაწვითო. რომელმა მათგანმა განაცხადა პროტესტი? ესენი, თავის პრეზიდენტიანად, ისეთივე მოღალატეები არიან, რომელთა ღალატის შედეგადაც 1795 წელს ერეკლე მეფემ კრწანისთან მარცხი განიცადა. დიახ, ისინი არაფრით განსხვავდებიან იმ კლასიკური მოღალატეებისგან, რაც საქართველოს ისტორიას ლაიტმოტივად გასდევს. ეს ოპოზიციონერი ქალები საქართველოს ისტორიაში შავი ასოებით ჩაიწერებიან, როგორც ყორღანაშვილი, ბარათაშვილი და ის ქალბატონი, რომელმაც დასავლეთ საქართველოში მეფეებს ცოლები გააშვებინა და მათ თავად ეტენებოდა. გახსოვთ, წითლიძე, გამჭირვალობის კანონის უკან გაწვევის მერე, როგორ მიმართავდა მამაკაც დეპუტატებს, შეგეწერათ, ბიჭებოო. მერე უკვირთ, არჩევნებს რატომ ვერ ვიგებთო. ვერც ვერასდროს მოიგებენ, რადგან ქალი მამაკაცის ცნობიერებაში კდემამოსილების სიმბოლოა. მათნაირი დედაკაცები კი პარლამენტს არ სჭირდება.

**— როცა ბერაიას და ღუდუშაურის მიერ გაჟღერებულ შეურაცხყოფებზე ვსაუბრობთ, რატომ გვავიწყდება, როგორ მოიხსენიებდა პრეზიდენტს გვარამია. მან არ უნდა აგოს პასუხი?**

— სანამ პრეზიდენტის მიმართ გაჟღერებულ უცენზურო სიტყვებზე ვისაუბრებთ, შეგახსენებთ, რა უქნა გვარამიამ ერთ-ერთ აქციაზე ქალბატონ მთვარისა ნავერიანს. მან ის პირდაპირ ეთერში სცემა და არავის, პრეზიდენტიდან დაწყებული, ამ აშარაშკა დედაკაცებით დამთავრებული, ხმა არ ამოუღია. ნავერიანის დაცვა მათ ინტერესებში არ შედიოდა. ნავერიანი ქალი არ არის?! თუ რადგან ეგრეთ წოდებული ელიტური წრის წარმომადგენელი არ გახლავთ, მისი უფლებები არ უნდა დავიცვათ?! საქართველოს ისტორიაში ყოვლად გაუგონარი ფაქტი მოხდა: გვარამიამ პირდაპირ ეთერში სისხლისფრად შეღებილი ხსნარით სავსე ჭიქა გამოცალა და განაცხადა, ასე დავლევ ზურაბიშვილის სისხლსო. ამაზე რეაგირება ვინმეს ჰქონდათ?! — არა, რადგან ამ ქალებისთვის გარედან მათ პატრონებს ნებართვა არ მიუციათ, ამ ქცევაზე ხმა ამოეღოთ და გაეპროტესტებინათ. ისინი 30 ვერცხლზე არიან გაყიდულები და უფლებების დარღვევაზე ხმას მხოლოდ დაკვეთის შემთხვევაში იღებენ.

ყველაზე საშინელი სენი ქალში, ჩაშვების ინსტიტუტია. ევროპა მოიარეს საკუთარი ქვეყნის ჩაშვებით, საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ ეკუთვნისო. როცა დაინახეს, რომ დიდი ალბათობით ამ არაფრისმთქმელ სტატუსს გვაძლევენ, ახლა ერთმანეთის ჩაშვება დაიწყეს. აი, ეს არის მათი კოლექტიური სახე. ასეთი წინადადებით შემოვდივარ: ეს ადამიანები ყოველ მიზეზგარეშე სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიტანოთ. მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, როგორი არ უნდა იყოს ქართველი ქალი, დედა, მეუღლე, და და ასე შემდეგ. რაც შეეხება ზურაბიშვილს, იგი ამ ქალების კოლექტიური სახეა.



მან არ იცის საქართველოს ისტორია, ქალის როლი სამშობლოში. დარწმუნებული ვარ, მას არ წაუკითხავს ფრაზა „გამზრდელიდან“: „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად არ გამიზრდიხარ“; მან, ასევე, არ იცის, როგორ მივიდა სამძიმარზე ვეფხის დედასთან მოყმის დედა; დიახ, არაფერი გაუგია იდეალური ქართველი გმირი ქალის – სანათას შესახებ; არ იცის, ვინ იყო ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა; მისთვის უცნობია ქართველი დედის ფენომენი, რომელიც ერთი ხელით აკვანს არწევდა, მეორეში კი ხმალი ეჭირა. ასეთი ქალის ქვეყნის პრეზიდენტად არჩევა, რაშიც წვლილი მეც მიმიძღვის, უდიდესი შეცდომა იყო. იგი ქართველობისგან აბსოლუტურად დაწრეტილია. ამიტომაც ვერ გაიგო, რა უთხრა გვარამიამ, როცა მას სამი ასოთი მოიხსენიებდა. მისთვის სულ ერთია, პირშიც რომ შეაფურთხო და კოკით თავს ლაფი დაასხა, რადგან მისთვის მთავარი ხელფასი და შვილების კეთილდღეობაა, საქართველოს, მის სამშობლოს რა დაემართება, სრულებითაც არ ანაღვლებს. აი, ეს არის ქართველი ოპოზიციონერი ქალების სახე.

**თამარ შველიძე**

# საქართველოსთვის სტატუსის მინიჭება ქვეყნის ღირსებისა და თავმოყვარეობის საკითხია

5 გვ. →






ნიზაციები ირწმუნებიან. ევროკავშირთან ღრმა თანამშრომლობა საქართველოს წლებია, აქვს. ეს განსაკუთრებით ინტენსიური გახდა არსებული ხელისუფლების პირობებში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ცვალებადი გეოპოლიტიკური ამინდიდან გამომდინარე, ევროკავშირმა უნდა გადახედოს საკუთარ პრიორიტეტებს და ასპირანტი ქვეყნებიც უნდა მიიღოს ევროპულ ოჯახში. ამით ევროპული ოჯახი კიდევ უფრო გაძლიერდება, განმტკიცდება და დაუპირისპირდება რუსულ იმპერიალისტურ ზრახვებს თუ სხვა უდიდეს გამოცდილებებს, რომლებიც ამჟამად მსოფლიოს პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზეა.

**დავით კალანდია, პუბლიცისტი, POSTV-ის გადაცემის „გვერდიდან“ წამყვანი:**

ერთადერთი, რაც დარწმუნებით ვიცი, ის არის, რომ სტატუსის მონიჭების შემთხვევაში, ჩვენს ოპოზიციას ხელიდან გამოეცლება არეულობის მოწყობის შანსი და გაუჩნდება ახალი სადარდებელი, - რა მოიფიქროს ისეთი, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაციის პროვოცირებისთვის გამოიყენოს და არეულობა მოაწყოს.

**ზაალ ანჯაფარიძე, ანალიტიკოსი:**

მაქვს მოლოდინი, რომ დადებით რეკომენდაციას მოგვცემენ, მაგრამ რა დათქმებით და რა პირობებით, - აქ არის სიტუაციის მთელი ინტრიგა. შესაძლოა, მოთხოვნები, რასაც დაგვიწესებენ, მთელი რიგი გარემოებების გამო რთულად შესასრულებელი აღმოჩნდეს ხელისუფლებისთვის. გვაქვს ინფორმაცია, რომ შესაძლოა, იმ რეკომენდაციებს, რომლებიც მათი აზრით საქართველომ ვერ შეასრულა, დაემატოს მოთხოვნები. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შემოაგდო ისევ სააკაშვილის გათავისუფლების თემა, შეიძლება სხვებს კიდევ სხვა მოთხოვნები გაუჩნდეთ. მაგალითად ის, რომ საქართველო მეტად უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კრიტერიუმებს. შესაძლოა, ეს მოთხოვნა მოიცავდეს იმასაც, რომ საქართველო სრულად შეუერთდეს სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. ეს ხელისუფლებისთვის რთულად მისაღები იქნება.

არც იმ მოსაზრებას ვეთანხმები, როგორც ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და ექსპერტი ატყუებს საზოგადოებას, რომ თითქოს სტატუსის მიღების შემდეგ, საქართველოსა და მის მოქალაქეებზე „ოქროს წვიმა წამოვა“. თუმცა, საქართველო მიიღებს მეტ წვდომას ევროკავშირის იმ ფინანსებზე, რაც მას ჯერ კიდევ იმ დროიდან ჰქონდა, როდესაც ევროკავშირთან ასოცირებული შეთანხმების წევრი გახდა.

ევროპოლიტიკოსების მენტალურ რუკაზე საქართველო კი არის საინტერესო ქვეყანა, მაგრამ როგორც მაკრონმა თქვა, ის სხვა გეოპოლიტიკურ მოცემულობაში იმყოფება. ჩვენ არა გვაქვს საერთო საზღვარი ევროკავშირის ქვეყნებთან, რაც ყურადსაღებია და ვინც ამის მიჩქმალვას ცდილობს, ძალიან ცდება. ამიტომ ვფიქრობ, რომ პროცესი დროში გაიწელება, რადგან ყველაფერი საერთაშორისო პოლიტიკურ კონიუნქტურაზეა დამოკიდებული.

**დავით ქართველიშვილი, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი:**

სტატუსს მივიღებთ და ამით აღდგება სამართლიანობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საქართველო როგორც შარშან, ასევე წელს, ყველა პარამეტრით წინ არის იმ ორ ქვეყანასთან შედარებით, ვისაც გასულ წელს კანდიდატის სტატუსი მისცეს. ზუსტად რომ დასავლურ და ევროულ პარამეტრებზე დაყრდნობით საზღვრავენ ამა თუ იმ ქვეყნის თავიუფლების, ბიზნესთავისუფლების, კორუფციის დონეს, ხელისუფლების ჩართულობის დონეს კორუფციულ სქემაში... რა კრიტერიუმებითაც ერთი თავით მაღლა ვართ ჩვენს ეგრეთ წოდებულ კონკურენტ კოლეგებთან შედარებით. რაც შეეხება საკითხს, იქნება თუ არა მიღებული გადაწყვეტილება 12-პუნქტიანი დასკვნების შესრულებასთან დაკავშირებული, ამ 12 რეკომენდაციაში იმდენი „ხაფანგი“ იყო ჩადებული თავდაპირველად, რომ ზოგიერთ პუნქტს ვერც ევროკაშირი და ვერც აშშ ვერ გადალახავდა. ამის შესახებ მშვენივრად უწყიან ევროსტრუქტურებში. საუბარია თუნდაც დეპოლარიზაციაზე, თუნდაც სასამართლო რეფორმაზე, სადაც უდიდესი პრობლემის წინაშე არიან ჩვენი როგორც ამერიკელი, ასევე ევროპელი პარტნიორები.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ მოლდოვასა და უკრაინასთან შედარებით, საქართველო ღირსებით იღებს ამ თუნდაც დაგვიანებულ ეგრეთ წოდებულ ჯილდოს. სტატუსის მოლოდინში საქართველო ცალ ფეხზე არ დამდგარა, მუხლებზე არ დაჩოქილა და არავისთვის მიუმართავს, რომ ამ მინიჭების გამო მზად ვართ, ყველაფერი შევუსრულოთ. „ყველაფერში“ შედის მეორე ფრონტის გახსნა, რევოლუციური სცენარის განვითარება, სასამართლო რეფორმის ისე გატარება, როდესაც მოსამართლეთა კორპუსის შერჩევაში გადამწყვეტი როლი საერთაშორისო ორგანიზაციებს ენიჭება. იგივე ეხება იუსტიციის საბჭოს წევრების შერჩევას, ცესკო-ს შერჩევას, სადაც არა ეროვნულ და სუვერენულ უფლებებზეა ძირითადი აქცენტი გაკეთებული, არამედ, საერთაშორისო ორგაზაციების პროცესში ჩართულობაზე. ეს ყველაფერი ვერ მივართვით, - ჩვენ არ გაგვიუქმებია არც ერთი ოპოზიციური პარტიის საქმიანობა ქვეყანაში, როგოროც ეს უკრაინასა და მოლდოვაში გააკეთეს; ჩვენ არ დაგვიხურავს არც ერთი ოპოზიციური მედიასაშუალება, როგორც ეს გააკეთეს უკრაინაში; ჩვენ არ გვიმუშავია პორნოგრაფიის ლეგალიზაციის კანონზე, როგორც ეს გააკეთს კიევში; ჩვენ არ ჩაგვიტარებია ფართომასტაბიანი პრაიდი, როგორც ეს გააკეთეს კიშინიოვსა და კიევში; ჩვენ არ გაგვიკეთებია ინიცირება ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციაზე, როგორც ამას უკრაინაში აკეთებენ; არ შეგვიწყვეტია ჩვენს ტერიტორიაზე კანონიკური მართლმადიდებლური ეკლესიის საქმიანობა, როგორც ეს უკრაინაში გააკეთეს. ჩვენ ამ ყველაფრის გარეშე ველოდებით სამართლიანობის აღდგენას, ანუ ჩვენი ფორმულა - „ღირსებით ევროკავშირში“ პირდაპირი გაგებითაც შეუძლიათ განიხილონ. ჩვენ ღირსება არ დაგვიკარგავს.

ვიცით, ზოგიერთი ქვეყანა 30 წელიწადზე მეტია, რაც სტატუსმინიჭებულია და ევროკავშირის წევრი ვერ გახდა, მაგრამ საქართველოს ამ სტატუსის მინიჭება **პირველ რიგში,** როგორც აღვნიშნე, ქვეყნის ღირსებისა და თავმოყვარეობის საკითხია, თუმცა მე არ მინდა, ცხოვრება უკრაინასა და მოლდოვასთან შედარებებში გავატარო მაშინ, როდესაც დასავლული „ფასეულობების“ გარეშე, თუ მათ მიერ დაწესებული თამაშის წესების მიხედვით, ახლოსაც ვერ მოდის საქართველოსთან ვერც დსთ-ის წევრი მოლდოვა და ვერც კორუფციის ბუდე უკრაინა. **მეორე** - ეს სტატუსის მიღება ნიშნავს ჩვენი ეგრეთ წოდებული ოპოზიციის ხელიდან იმ იარაღის გამოცლას, რომლითაც ისინი დეკემბრის დასაწყისში ისევ აპირებდნენ ქვეყანაში სიტუაციის აყირავებას, „მაიდანს“ და ფსევდორევოლუციების მოწყობას. ამ იარაღს ჩვენ მათ წავართმევთ სამუდამოდ. და **მესამე** - ეს სტატუსი არის იარაღი, რომელიც დესტრუქციული ძალების საწინააღმდეგოდ იმოქმედებს და უკვე ვხედავთ, როგორც ცდილობენ ჩაძირონ, ჩაუშვან და გაანადგურონ ერთმანეთი.



**ბონდო მძინარაშვილი, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი:**

ევროკომისია კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, საქართველოს რეკომენდაციას გაუწევს. თუმცა, საფიქრებელი მხოლოდ ის გვაქვს, რომ ამ გადაწყვეტილებების დროს არ გაჩნდეს ისეთი დათქმები, რომელიც გამოიწვევს საქართველოს მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას. ვგულისხმობ იმას, რა პროცესებიც დღეს უნგრეთსა და პოლონეთს აშფოთებს, როდესაც მათ ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებით აქვთ კითხვები ევროკომისიასთან და ევროკავშირის ხელმძღვანელობასთან. ამიტომ საფიქრებელია სწორედ ის, რომ მას შემდეგ, რაც დასავლეთის რეკომენდაცია გვექნება, ემოციამ არ გვძლიოს და არ ვთქვათ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, ოღონდაც დეკემბერში კანდიდატის სტატუსი მოგვცენ. ჩვენ ჩვენი ტრადიციები გვაქვს, ჩვენი კულტურა გვაქვს და, შესაბამისად, სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორების გათვალისწინებით უნდა ვიმოქმედოთ. უნდა ვიფიქროთ, უპირველესად, საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებზე და მხოლოდ შემდგომ, სადმე, რომელიმე კავშირში, ალიანსში თუ გაერთიანებაში გაწევრიანებაზე.

**მოამზადა**
**ნონა ქარქაშაძემ**

# იმას, რაც სოროსმა სამეცნიერო გრანტების დაწესებით გააკეთა, ვერავითარი სადაზვერვო სამსახური ვერ შეძლებდა!

(დასაწყისი „სგ“ N9)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსმენელებს ასწავლიან, რომ არსებობს რაღაც „ცუდი“ გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა, გამოიწვიონ საზოგადოებრივი მღელვარება და ბუნტი. ასწავლიან ახალგაზრდებს - თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ ამ „ცუდი“ გარემოებებით გამოწვეულ საფრთხეებს, ხოლო ამერიკის სპეცსამსახურების მეშვეობით შემდგომ ხდება ქვეყანაში მსგავსი „ცუდი“ გარემოებების შექმნა/გამოყენება („რუსული კანონი“), რა დროსაც წინასწარ დატრენინგებული ახალგაზრდობა უკვე რაიმე დამატებითი ინსტრუქტაჟის გარეშე მოქმედებს.

კლუბის ძირითადი გეგმის ამოსავალი წერტილი არის ახალგაზრდული მოძრაობების იდეოლოგიური და პროპაგანდისტული დამუშავება, რის შედეგადაც ქრება ტრადიციული საზოგადოების ფასეულობები, ღირებულებები და პრაქტიკულად ხდება მათი ახალი „ფასეულობებით“ ჩანაცვლება, ე.წ. „გენმოდიფიცირება“. სწორედ ხსენებული იდეოლოგიური დამუშავების შედეგად იქმნებოდა ე.წ. „ფერადი რევოლუციების“ ძირითადი მოქმედი ძალები („კმარა“, „ოტპორი“).

იმისთვის, რომ კარგად გავიგოთ, თუ რა საფრთხეს ქმნის „ფრანკლინის კლუბი“, პირველ რიგში, უნდა გავიგოთ, ვინ მართავს მას რეალურად. ორგანიზაციის ძირითადი დამფინანსებელი არის „Aტლას Nეტწორკ“, რომელიც წლებია, შელახული რეპუტაციით სარგებლობს, როგორც ე. წ. ფერადი რევოლუციების იდეოლოგიური მკვებავი ძალა და ლიბერტარიანული იდეების გამავრცელებელი ორგანიზაცია (ხელს უწყობდა დიდი ბრიტანეთის კონსერვატორების „ბრექსიტს“ და მის გამოყოფას ლიბერალური ევროპისგან). “ფრანკლინის კლუბს“ უკვე ჰყავს 2500-მდე კურსდამთავრებული, ხოლო ამ ეტაპზე, როგორც თავად აცხადებენ, ყოველთვიურად რეგისტრირდება 400-მდე პირი, რაც ლიბერალურ-ფაშისტური ზეგავლენის მოხდენის უფრო მასშტაბურ შესაძლებლობებს ქმნის.

რაც შეეხება კლუბის სასწავლო პროგრამების შედგენას, ნაკლებად სავარაუდოა, ამაში რეზი თოფურია, ალექსანდრე ზიბზიბაძე თუ მსგავსი პირები მონაწილეობდნენ (მათ ამისთვის ინტელექტი არ ჰყოფნით). აღნიშნული ფუნქცია, მაღალი ალბათობით, ეკისრებათ ლევან რამიშვილსა და გია ნოდიას (ისინი წარმოადგენილი არიან ორგანიზაციის მრჩეველთა საბჭოში). ლევან რამიშვილი არის ცნობილი „ფილოსოფოსი“, მან თავის დროზე შექმნა „ფრანკლინის კლუბის“ ანალოგი „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა მოძრაობა „კმარა“ (მას აქვს ახალგაზრდებზე ზემოქმედების საკმარისი გამოცდილება). „ფრანკლინის კლუბს“ სტუდენტებზე წვდომის მიღებასა და გაფართოებაში ხელს უწყობენ იმავე მრჩეველთა საბჭოში მყოფი კონსტანტინე თოფურია („საქართველოს უნივერსიტეტი“) და ვატო ლეჟავა („თავისუფალი“ და „აგრარული“ უნივერსიტეტები).

„ფრანკლინის კლუბი“ ღიად და საჯაროდ საკუთარ ამოსავალ წერტილად მიიჩნევს “ლიბერტარიანობას“ — პოლიტიკურ-ფილოსოფიურ მოძრაობას, რომელიც მთავრობის მინიმალური ძალაუფლების ქვეშ სრულიად თავისუფალი საზოგადოების არსებობას ქადაგებს. ლიბერტარიანელი ისტორიკოსი ჯორჯ ვუდკოკი განმარტავს, რომ საზოგადოების ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს რეფორმით ან რევოლუციის გზით, ხოლო ფილოსოფოსი როდერიკ ლონგი ლიბერტარიანობას განმარტავს „ნებისმიერ პოლიტიკურ პოზიციად, რომელიც მხარს უჭერს ძალაუფლების რადიკალურ გადაცემას ძალდატანებითი სახელმწიფოსგან თავისუფალი ინდივიდების მოხალისეობრივი ასოციაციების ხელში“ (ხშირ შემთხვევაში, იდეოლოგია გადადის ანარქიაში).

აღსანიშნავია, რომ მარტის აქციებზე მყოფი ახალგაზრდები პროპაგანდირებდნენ სწორედ ხსენებულ ლოზუნგებს, რომ ისინი არიან თავისუფლები, ხოლო მათ მიერ დამზადებულ პლაკატებსა და სიმბოლიკაში ხშირად ფიქსირდებოდა ილია ჭავჭავაძე, რომლის საკუთარი მოძრაობის „მამა-დამაარსებლის“ როლში გამოყვანაზე აქტიურად ფიქრობენ კლუბში. ხსენებულ პროცესებში მნიშვნელოვანია, რომ იდეოლოგიის გავრცელების პარალელურად, ისინი სერიოზულად მუშაობენ ე. წ. ტექნოლოგიური სპეციალისტების აღზრდაზეც, რაზეც აქტიურად ზრუნავენ როგორც რექტორები, ასევე კლუბში სამუშაოდ მოწვეული ლექტორებიც, რომელთა უმეტესი ნაწილი პარალელურად დასაქმებულია „საქართველოს“ და „თავისუფალ/აგრარულ უნივერსიტეტებში“.




რაც ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს, არის „ფრანკლინის კლუბის“ გარშემო გაერთიანებული ორგანიზაციის მასშტაბები (2500-მდე კურსდამთავრებული და ყოველთვიურად 400-მდე მსურველი. კურსის ხანგძლივობა 1-1,5 თვე). აღნიშნული პოპულარობა გამოწვეულია, მათ შორის, სასწავლო ადგილზე არსებული თავისუფალი გარემოთი და ე.წ. ლიბერალურ ღირებულებებთან, ახალგაზრდობასთან სიახლოვით (ადგილზე იღებენ სახალისო ვიდეოებს, პუფებზე ჩამომჯდარი მსმენელები საუბრობენ პიროვნულ თავისუფლებაზე და ა.შ.). ამ გარეგნული „რომანტიკული“ ატმოსფეროს მიღმა რეალური საფრთხე იმალება, რადგან იქ სტუდენტებს არავინ ეუბნება, რომ მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ დესტრუქციულ აქციაში, ან ე.წ. ფერადი რევოლუციების ჭანჭიკებად გადაიქცნენ, ან რომ ხელისუფლება - ცუდია და არჩევნებზე ხმა სხვას უნდა მისცენ. არა, კლუბში სტუდენტებს ესაუბრებიან მხოლოდ დასავლეთის პრივილიგირებულ მდგომარეობაზე, ხდება ქართული სახელისუფლებო ეროვნული პროცესების გატარება „რუსეთის პრიზმაში“, რომლის (პარალელურად) სრული დემონიზაცია ხდება.

ქვეყანაში მიმდინარე (ან მოსალოდნელ) ბევრ მოვლენას (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, კანონშემოქმედებითი საქმიანობა, საგარეო ვაჭრობა და ა.შ.) ატარებენ მხოლოდ „რუსულ ნეგატიურ“ ფილტრში, თუკი ამ პროცესებს დასავლეთის ჩარევისა თუ კარნახის გარეშე აქვს ადგილი. შედეგად ვიღებთ ამ ხედვებით დაზომბებულ სტუდენტს, რომელიც იზიარებს საქართველის და კაცობრიობის განვითარების მხოლოდ ერთ - “დასავლურ“ ხედვებს.

სტუდენტებს აქტიურად აცნობენ ე.წ. სამოქალაქო აქტივიზმის მოდულს, რომელშიც დეტალურად აღწერენ თუ სად და რომელი დიქტატორული რეჟიმი დაამხეს ე.წ. ფერადი რევოლუციით, რა ტექნოლოგიებსა და საშუალებებს იყენებდნენ იმ დროს აქციის მონაწილეები. ამ ტრენინგებით ვიღებთ სტუდენტს, რომელმაც იცის, როგორ უნდა მოიქცეს დამოუკიდებლად “საჭირო“ დროსა და ადგილას.

ორგანიზაციას კარგად აქვს გამართული კომუნიკაციის საშუალებებიც და, შეიძლება ითქვას, რომ ის (ორგანიზაცია) პრაქტიკულად არ კარგავს კონტაქტს საკუთარ კურსდამთავრებულებთან, კერძოდ: სწავლების პერიოდში აწყობენ ე.წ. ბანაკებს, სადაც აქტიურად განიხილავენ მიმდინარე მოვლენებს, საკუთარი თავისუფალი გარემოს მეშვეობით ხელს უწყობს მსმენელების დაახლოებას (თითო ნაკადი შედგება 200 პირისაგან).

აღნიშნული ნაკადები „ფრანკლინის კლუბის“ სოციალური გვერდების აქტიური მომხმარებლები არიან და როდესაც კლუბს სურს რაიმე პოზიციის დაფიქსირება, ის არ შლის მას თავის სტუდენტებში, არამედ, უბრალოდ, აფიქსირებს ამ პოზიციას საჯაროდ, საკუთარ სოციალურ გვერდებზე, რასაც ხედავენ ეს კურსდამთავრებულთა ნაკადები და შემდგომ უკვე ხდება მისი გავრცელება ერთმანეთში.

ანალოგიური სქემა გამოიყენეს „უცხოური გავლენების გამჭვირვალობის” კანონპროექტთან დაკავშირებითაც, რადგან მათ თავისი სტუდენტებისთვის პირდაპირ არ დაუვალებით აქციაზე მისვლა, უბრალოდ, მოამზადეს შესაბამისი შინაარსის ვიდეორგოლები და საინფორმაციო აგიტაცია დაიწყეს (რადგან კურსდამთავრებულები უკვე იზიარებდნენ საკუთარი ლიდერების პოზიციას, დანარჩენი მათ უკვე დამოუკიდებლად გააკეთეს).

როდესაც გვესმის საზოგადოების უკმაყოფილება, „ფრანკლინის კლუბის“ მიმართ ხელისუფლების მხრიდან სამართლებრივი „პასიურობის“ თაობაზე, ამ ეტაპისთვის უნდა გავაცნობიეროთ, რომ ორგანიზაციის საქმიანობის ინკრიმინირება პრაქტიკულად შეუძლებელიია: აქ პირდაპირ არ იშლება უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებიდან მიღებული დავალება, უბრალოდ, ახალგაზრდული ბირთვის “ზოგადი” დამუშავება ხდება (სხვა ქვეყნებში განვითარებული მოვლენების მაგალითზე) მათში კონკრეტული “მგძნობიარე“ შეხების წერტილების შექმნის მიზნით, შემდგომ კი აშშ-ის მიერ კონტროლირებადი ძალები და საშუალებები მუშაობენ ამ „მგძნობიარე“ წერტილების „საბრძოლო“ მდგომარეობაში მოსაყვანი გარემოს მოდელირება/შესაქმნელად (მაგ. „რუსული კანონი“) და კლუბის მიერ მომზადებული კონტინგენტი უკვე დამოუკიდებლად, ზემოთ აღწერილი სქემის მიხედვით მოქმედებს. არანაირ ეჭვებს აღარ ბადებს, რომ აშშ-ს „უცხოური გავლენის“ შესახებ კანონპროექტის მიღების საშიშროებამ უბიძგა მოვლენების ფორსირებისა და ამ გზით საკუთარი ძალის დემონსტრირებისკენ, რადგან ხსენებული კანონპროექტი პრაქტიკულად გაანადგურებდა წლების განმავლობაში მათ მიერ ნაშენებ აგენტოკრატიული ზეგავლენის მოხდენის ინსტრუმენტებს.“

უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებზე გამახსენდა!

1990-ან წლებში ჰუმანურ აქტად გამოჩნდა „სოროსის ფონდის“ მიერ მეცნიერებისთვის დახმარების გაწევა. ფაქტობრივად, სოროსმა გადაარჩინა შიმშილით სიკვდილს არაერთი ქართველი მეცნიერი. მაშინ აბსოლუტურად გაუგებარი იყო (არა მხოლოდ ჩემთვის) რატომ იყო ასეთი გულისხმიერი და ხელგაშლილი ვინმე სოროსი.

მერაბ ჯიბლაძე: „ერთი შეხედვით, ჰუმანიტარული აქტია „სოროსის ფონდის“ ის მოღვაწეობა, რამაც მრავალი მეცნიერი შიმშილით დაღუპვისგან იხსნა 1990-იანი წლების დასაწყისში, მაგრამ ამ მეცნიერებში, ძირითადად, ბუნებისმეტყველები აღმოჩნდნენ. მათ შორის მე, ორგზის მივიღე დახმარება და სწორედ ამ ფონდის მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად გავხდი ამერიკის ფიზიკის საზოგადოების წევრი... ამისთვის ჩვენ საკმაოდ მოზრდილი მოცულობის ანკეტების შევსება დაგვჭირდა, სადაც სრულად იყო წარმოდგენილი ინფორმაცია ჩვენი სამუშაოების შესახებ. ამ ინფორმაციების წყალობით კი ხდება მეცნიერული პოტენციალის დადგენა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, ვინ რას წარმოადგენს. ცხადია, ეს საკმაოდ ძვირადღირებული ინფორმაციაა აშშ-ის სადაზვერვო სამსახურებისთვის.

**იმას, რაც სოროსმა სამეცნიერო გრანტების დაწესებით გააკეთა, ვერავითარი სადაზვერვო სამსახური ვერ შეძლებდა!**

(გაგრძელება იქნება)

# ერდოღანი: ისრაელი ტერორისტულ ორგანიზაციას დაემსგავსა

საერთაშორისო ორგანიზაციებს უკვე აღარ შეწევთ ძალა, მსოფლიოში დღეს არსებული არათუ გლობალური, არამედ ელემენტარული პრობლემები გადაწყვიტონ", — უკვე მერამდენედ შეშფოთებით აცხადებენ პოლიტოლოგები.

არსებობს მეორე სამწუხარო და საგანგაშო მდგომარეობა — დღეს მსოფლიოში ცოტა ვინმე თუ იმსახურებს პოლიტიკოსის სახელს, რადგან პოლიტიკას, დილეტანტი, შემთხვევითი ადამიანები დაეპატრონენ.

სამხედრო ოპერაციის მესამე ეტაპის დაწყება გამოაცხადა





გასულ კვირას ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ. „...ჩვენ არ დაგვიწყია ეს ომი. ისრაელი განაგრძობს ბრძოლას და გაისტუმრებს „ჰამასს" ისტორიულ სანაგვეზე", — განაცხადა ნეთანიაჰუმ მოსახლეობისადმი მიმართვისას. ცხარე ბრძოლებია „წმინდა მიწაზე". ისრაელის არმია ღაზას სექტორში ასეულობით ტანკითა და ათასობით ჯარისკაცით შეიჭრა. ბრძოლებში იემენელი ჰუსიტებიც ჩაერთვნენ, რომლებიც უპილოტო საფრენი აპარატებით უტევენ ისრაელის ქალაქებს. ჰუსიტებმა ისრაელთან წინააღმდეგობის ღერძად გამოაცხადეს თავი და პალესტინელებს ისრაელთან ბრძოლაში დახმარებას დაჰპირდნენ. თითქმის ყოველდღე აცხადებს ნეთანიაჰუ, რომ ნებისმიერი მოტივით ცეცხლის შეწყვეტის წინააღმდეგია და „ჰამასის" გარდა, „ჰეზბოლასაც" ემუქრება.

გასულ კვირას გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა. ისრაელის დელეგაციამ მცირე სპექტაკლი დადგა — მათ მკერდზე დავითის ყვითელი ვარსკვლავები დაიმაგრეს, სხდომაზე მივიდნენ და განაცხადეს, ვიდრე უშიშროების საბჭო ისრაელის მიმართ „ჰამასის" ქმედებას არ დაგმობს, ისინი ასე ივლიან სხდომებზე. გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერიეშმა 7 ოქტომბრის შემდეგ არაერთხელ დაგმო „ჰამასის" მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტი, მაგრამ, ამასთანავე, ისრაელის მხარეს პროპორციული ძალის გამოყენებისკენ მოუწოდებს. აქვე სათქმელია, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის განახლების შემდეგ უკვე გაეროს 63 თანამშრომელია დაღუპული. გაეროს ბავშვთა ფონდში აცხადებენ, რომ ღაზას სექტორი ბავშვების სასაფლაოდ გადაიქცა.

ბრძოლებმა ღაზას სექტორში ქალაქების ქუჩებში გადაინაცვლა. „ჰამასის" მებრძოლები ეფექტურად იყენებენ მიწისქვეშ არსებულ ბუნკერებს და გვირაბებს. მართალია, უპირატესობა ისრაელის მხარესაა, მაგრამ დანაკარგები მათაც დიდი აქვთ. ისრაელის ხელისუფლების განცხადებით, ამ ეტაპზე მცირე დანაკარგები აქვთ.

იემენელი ჰუსიტების გარდა, ისრაელის არმიას „ჰეზბოლას" მებრძოლებიც უტევენ. ნეთანიაჰუს ფაქტობრივი მუქარის მიუხედავად, პარტია „ჰეზბოლას" (რომელიც ლიბანის პარლამენტის წევრია) გენერალურმა მდივანმა ჰასან ნასრალამ, რომელიც შეიარაღებული დაჯგუფების ხელმძღვანელიცაა, განაცხადა: „...ის, რაც ახლა პალესტინაში, ღაზას სექტორში ხდება, გადამწყვეტი ისტორიული ომია, რომელიც ადრინდელი კონფლიქტებისგან განსხვავებულია".

ისრაელელი მაღალჩინოსანი სამხედროები აღნიშნავენ, რომ ტანკებს ქალაქის პირობებში უჭირთ აქტიური მანევრირება. საჰაერო შეტევები გასულ კვირას დევნილთა ორ ბანაკზე განხორციელდა, დაიბომბა სკოლა, სასწრაფო დახმარების მანქანები და კიდევ ერთი საავადმყოფო. არასრული მონაცემებით, ისრაელის ავიაციის შეტევებს უკვე 150 პალესტინელი ექიმი ემსხვერპლა. პალესტინელების ინფორმაციით, ღაზას სექტორში უკვე ათი ათასი მშვიდობიანი მოსახლეა დაღუპული, აქედან 40% ბავშვები არიან.

დიდი მსხვერპლის მიუხედავად, ნეთანიაჰუ ცეცხლის შეწყვეტას, თუნდაც ჰუმანიტარული მოსაზრებით, არ აპირებს. ღაზას სექტორში უმძიმესი ჰუმანიტარული ვითარებაა. ექიმებს არ ჰყოფნით მედიკამენტები, მათ პირდაპირ ღია ცის ქვეშ უხდებათ მუშაობა. პირდაპირ ეთერში აჩვენეს, როგორ უწევდნენ ბავშვს ქირურგიულ დახმარებას ნარკოზის გარეშე, რადგან ანესთეზიის საშუალებები, ფაქტობრივად, აღარ აქვთ. გერმანულმა პრესტიჟულმა გამოცემა „შპიგელმა" შექმნილ ვითარებას „ღაზას კოშმარი" უწოდა. ანალიტიკოსების შეფასებით, როდესაც რომელიმე ომში მშვიდობიანი მოსახლეობა მეტი იღუპება, ვიდრე სამხედროები, ეს გენოციდია.

პოლიტიკურადაც ისრაელის მოქმედმა ხელისუფლებამ უამრავი მოწინააღმდეგე გაიჩინა. გასულ კვირას ისრაელიდან გაიწვიეს დიპლომატები ბოლივიამ, ჩილემ, ვენესუელამ და კიდევ რამდენიმე ქვეყანამ. თურქეთმა, ნატო-ს წევრმა ქვეყანამაც გაიწვია ისრაელიდან ელჩი, როგორც ამბობენ, კონსულტაციებისთვის. პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა კი პირდაპირ მიმართა ისრაელს: „...თუ ომი გინდათ, ჩვენთან მოდით, აქ ვართ და გელოდებით". მისივე თქმით, ისრაელმა სახელმწიფოებრიობა დაკარგა, ტერორისტულ სტრუქტურას დაემსგავსა და დანაშაულს სჩადის კაცობრიობის წინაშე.

ალჟირის პარლამენტმა ქვეყნის პრეზიდენტს ნება დართო, ისრაელს ოფიციალურად გამოუცხადოს ომი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, ენტონი ბლინკენი ახლო აღმოსავლეთს უკვე მეოთხედ ესტუმრა. თავდაპირველად იგი ისრაელში ჩავიდა, სადაც დახურულ კარს მიღმა დიდხანს ესაუბრა ნეთანიაჰუს. თუმცა, რა თემები განიხილეს კონკრეტულად, უცნობი დარჩა. ვარაუდობენ, რომ აშშ-ს, ძირითადად, „ჰამასის" მიერ აყვანილი მძევლების ბედი აინტერესებს. „ჰამასის" შეთავაზება, გაცვალონ ტყვეები პრინციპით ყველა — ყველაზე, ისრაელმა უარყო.




ისრაელიდან ბლინკენი იემენსა და თურქეთში ჩავიდა, სადაც შეხვდა კოლეგებს არაბული ქვეყნებიდან. იემენში პალესტინის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა ბლინკენს ცეცხლის შეწყვეტა მოსთხოვა. ბლინკენის მეოთხე ვოიაჟი ახლო აღმოსავლეთში ისევე უშედეგო აღმოჩნდა, როგორც წინა სამი. ამაზე ამახვილებს ყურადღებას აშშ-ის პრესა. ჟურნალისტების შეფასებით, ბლინკენმა ვერ შეძლო არათუ ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმების მიღწევა, არამედ სიტუაციის შერბილებაც კი. ასევე ვერ შეძლო არაბულ ქვეყნებში ანტიამერიკული და ანტიისრაელური განწყობის პოზიტიურად შეცვლა. „ნიუ-იორკ თაიმსის" შეფასებით, „აშშ-ის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ჩიხში მოექცა". უკვე ღიად საუბრობენ თანამდებობიდან ნეთანიაჰუს მოსალოდნელ გადადგომაზე. გამოცემა „პოლიტიკოს" ინფორმაციით, ნეთანიაჰუ, შესაძლოა, მალე წავიდეს საერთოდ პოლიტიკიდან. როგორც იუწყებიან, აშშ-ში ყოფნისას პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მკაცრად გააკრიტიკა ნეთანიაჰუ და თანამდებობის დატოვებისკენ მოუწოდა.

საყურადღებოა, რომ ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლამ რამდენიმე დღის წინ არაბულ სამყაროს ისრაელის დასჯისკენ მოუწოდა. დღემდე იქაური ხელისუფლება ერიდებოდა მკვეთრი განცხადებების გაკეთებას, თუმცა, ორი დღის წინ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ულტიმატუმი წაუყენა აშშ-ს, შეწყვიტონ ცეცხლი პალესტინაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, „მძიმე დარტყმას მიაყენებენ", მაგრამ არ დაუკონკრეტებიათ, ვის შეუტევენ — აშშ-ს თუ ისრაელს. პოლიტოლოგები ღიად საუბრობენ, რომ არა აშშ-ის ისრაელისთვის მხარდაჭერა, ახლა მას (ისრაელს) მთელ არაბულ სამყაროსთან ექნებოდა ომიო. ისრაელელი პოლიტოლოგის, იაკობ კედმის განცხადებით: „...რომ არა აშშ და, საერთოდ, ანგლოსაქსები, ისრაელი აქამდე იოლად შეძლებდა არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის დარეგულირებას".

ხმელთაშუა ზღვაში 11 ქვეყნის 50-ზე მეტი სამხედრო გემი იმყოფება, მათ შორის, ავიამზიდებიც. ახლა მათ აშშ-ის წყალქვეშა ატომური გემი დაემატა, რომელზეც ბირთვული ბალისტიკური რაკეტებია განთავსებული. აშშ-ის ავიამზიდის ხმელთაშუა ზღვაში შესვლა ერდოღანმა „ცეცხლზე ბენზინის დასხმად" შეაფასა. საინტერესოა, რას იტყვის აშშ-ის წყალქვეშა გემის შესახებ. თურქეთში პალესტინელების მხარდამჭერმა მორიგმა აქციამ რადიკალური შეფერილობა შეიძინა. რამდენიმე ასეულმა აქტივისტმა გენჯელიკის აშშ-ის სამხედრო ბაზაზე შეჭრა სცადა, მაგრამ პოლიციამ შეძლო მათი შეჩერება. მთავარი მოთხოვნა ბაზის დახურვა და ქვეყნიდან მისი გატანა იყო.

როგორ განვითარდება მოვლენები მსოფლიოში, უახლოეს პერიოდში გამოჩნდება. მთავარია, კონფლიქტი რეგიონის ფარგლებს არ გასცდეს და ომის ხანძარი მსოფლიოს არ მოედოს.

6 ნოემბერს აფეთქების შედეგად დაიღუპა უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ვალერი ზალუჟნის თანაშემწე, 39 წლის მაიორი გენარი ჩასტიაკოვი - იუწყება თავად ზალუჟნი ტელეგრამ არხი.

ზალუჟნი წერს, რომ ჩასტიაკოვი დაიღუპა „ტრაგიკულ გარემოებებში, თავის დაბადების დღეზე, ოჯახურ წრეში". ზალუჟნის თქმით, აფეთქდა ჩასტიაკოვის მიერ დაბადების დღეზე მიღებული ერთ-ერთი საჩუქარი, რომელიც მან შინ მიიტანა. თავისი მრჩევლის და მეგობრის სიკვდილს ზალუჟნი უწოდებს „გამოუხატავ ტკივილს და მძიმე დანაკარგს" როგორც პირადად მისთვის, ისე უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის.

როგორც ჩასტიაკოვის მეუღლე ყვება, – მისმა ქმარმა სახლში მიიტანა საჩუქრის ნაკრები სპირტიანი სასმელის ბოთლით და ხელყუმბარის ფორმის ჭიქებით. აფეთქება მოხდა ამ პაკეტის გახსნის მომენტში.

მედიაში გავრცელებული ცნობებით, აფეთქების შედეგად დაიჭრა მეომრის 13 წლის ვაჟიც.



**გია ბურდული**

# „შეუთავსებელთა შეთავსება“



**საკრალური (დაფარული) თემების რეტროსპექტივას უძღვებას სსუ-ის საპატიო დოქტორი, ჟურნალ „კირბის“ (ოქროს საწმისი) მთავარი რედქტორი, მწერალი გური ოტობაია. მისი 5-ტომეული „შეუთავსებელთა შეთავსება“ სამყაროს სინონომია, რომელიც ნემსის წვერზე ატევს ყინულსა და ცეცხლს, ბოროტსა და კეთილს, სიკვდილსა და სიცოცხლეს. ამავდროულად, ზედმიწევნით ასახავს ჩვენი პლანეტარული ცივილიზაციის შემოქმედი პროტოიბერიელების დღემდე უცნობ ცოდნას. წინამდებარე პუბლიკაცია წიგნის საგაზეთო ვარიანტია. ტელ.: 571 21 27 70. ელ. ფოსტა: guriotobaia@gmail.com**

## წერილი მესამე

ჩვენ საუბრის დასაწყისში **„ცოლკინი“** ვახსენეთ, მაგრამ მისი განმარტებისთვის მაშინ ვერაფრით მოვიცალეთ. ეს ფირფიტა მაიას ტომმა შემოგვინახა. ის მთვარის კალენდარია, თუმცა მკვლევარი **ჰულიო არგუელისი** მას სხვა მრავალი კაცობრიული ფასეულობის მნიშვნელობასაც ანიჭებს: გენეტიკის, ჰოლოგრაფიის — სამყაროს დიდი ბეჭდის და ა. შ.

ჩვენ დედამიწის თავზე მოხასხასე ცის თაღი გვიხსენებია, რომლის მხოლოდ ნახევარია ჩვენთვის ხილული. მისი ბრუნვის ასტრონომიული დრო 25 980 წელია (დამრგვალებულად 26 000 წელიწადი).

მთვარის კალენდარი — **„ცოლკინიც“** ცის თაღის სრული ბრუნის მინიატურული მოდელია, როგორც გარსია ლორკა იტყოდა, **ხვლიკი — ნიანგის წვეთი.** მთვარის კალენდარი მაიას ტომელებს ჰქონდათ და 260 დღე-ღამეს შეესაბამებოდა.

„ცოლკინი“ წარმოადგენს 13 + 7 X 13 = 260 უჯრედისგან აშენებულ დაფას. ციფრების ნაცვლად ინფორმაცია ჩაწერილია მარადიული ნიშნებით — ტირეებითა და წერტილებით. ერთი წერტილი 1-ს შეესაბამება. 2 წერტილი 2-ს. 5 იწერება ხაზითა და ერთი წერტილით ზედ და ა. შ.

ასევე საინტერესოა რიცხვების 7-ისა და 13-ს ბუნება, რომელიც **ვლ. ჩუბინიძემ** გაშიფრა. ნატურალური რიცხვების 13-ზე გაყოფისას ვიღებთ 12 ათწილადს. ორივე ტაბულას ქურუმები იყენებდნენ, როგორც მუდმივას მარადიული სიდიდეთა გასაზომად. აქ განაყოფი ლაგდება ჯვრის პრინციპით და მოიცავს უამრავ საიდუმლოებას, რომლებზეც სხვა დროს უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

**1 : 13 = 0, 076 923**
**2 : 13 = 0, 153 846**
**3 : 13 = 0, 230 769**
**4 : 13 = 0, 307 692**
**5 : 13 = 0, 384 615**
**6 : 13 = 0, 461 538**
**7 : 13 = 0, 538 461**
**8 : 13 = 0, 615 384**
**9 : 13 = 0, 692 307**
**10 : 13 = 0, 769 230**
**11 : 13 = 0, 846 153**
**12 : 13 = 0, 923 076**
**13 : 13 = 1**

**1 : 7 = 0, 142 857**
**2 : 7 = 0, 285 714**
**3 : 7 = 0, 428 571**
**4 : 7 = 0, 571 428**
**5 : 7 = 0, 714 285**
**6 : 7 = 0, 857 142**
**7 : 7 = 1**

საინტერესოა, თუ რა კავშირშია ერთმანეთთან მაიას ტომის „ცოლკინი“ და რიცხვები — 7 და 13. 7 უფლისეულია. 13 თარს რიცხვადაა მიჩნეული, მაგრამ ქრისტე თავის მოციქულებთან ერთად 13 თანამოაზრის ერთობლიობაა და არა 7-ისა. 13 ათასი წელიწადი ცის თაღის ბრუნის ნახევარია და **ნებისმიერი ცივილიზაციის არსებობის ქრონომეტრაჟი**. ჩვენ ფარაონების გადაჯვარედინებულ ხელებში ვიხილეთ სკიპტრები სამკუთხედითა და რგოლით. ამ ყველაფერს ნებისმიერი ცივილიზაციის არსებობის ძირითად პრინციპამდე მივყავართ, რომელიც ქართულ ასომთავრულშია კიდირებული. ჩვენ შემდგომ წერილებში ვისაუბრებთ ასომთავრულის მერვე სიმბოლიკაზე — ჰე-8-ე, რომელიც ღვთიურობის მიმანიშნებელია.

ახლა კი ვაცხადებთ: ჯვარი სამყაროს ღერძია, ხერხემალი. მისი დატრიალდებით ვიღებთ რვაბოლოიან გეომეტრიულ სხეულს, რომელსაც ქართული ცივილიზაცია **ბორჯღალს** ეძახის. ჩვენი შვიდბოლოიანი ბორჯღალი არ არის ასრტრონიმიული, ის უფლისეულია, ეზოთერული, შვიდიანის მნიშვნელობით ნასაზრდოები. თავის მხრივ, შვიდი 3-ისა და 4-ისგან შექმნილი განზომილებაა, იგივე „სამოთხე“ და შეესაბამება დიდი დათვის თანავარსკვლავედს. გვითქვამს, როგორც მაიელების „ცოლკინი“, ისე დავითის ვარსკვლავი, სამკუთხედებითაა აშენებული, მარადიული შობის საიდუმლოთი — ქალისა და კაცის ერთობლიობით. დავითის ვარსკვლავი, ამავდროულად, სამოთხის ხეცაა, რომელიც ცივილიზაცის გრძედებს და განედებს აწესრიგებს. თუმცა საკითხავია, **რა მიზანი აქვს თავად ცივილიზაციას და საითკენ მიემართება იგი.** კაცობრიობის მეხსიერება ძალზე მოკლეა — **13 000 წელიწადი**. მაშ, როგორ უნდა ინახავდეს ასეთი გულმავიწყი ხსომიერება მარადიულ ფორმულებს?! კოლხები მსგავს ინფორმაციებს ინახავდნენ **კირბებით,** იგივე **ოქროს საწმისით,** ცხვრის ტყავზე ნაწერი წიგნებით, **შუმერები — თიხის ფირფიტებით,** სკანდინავიელები ხის ნაფოტებით — **რუნებით,** ეგვიპტელები — **პაპირუსებით.** თუმცა ყველა მათგანს გააჩნია ნაკლი, ისინი ცეცხლით განადგურებას ექვემდებარებიან.

ჭეშმარიტად, ყველაფრის საწყისი **ჯვარია,** პლუს-მინუსის ერთ წერტილში გადაკვეთა. ასეთი წერტილი საქართველოში რიკოთის გადასასვლელზეა, ზეკარის უღელტეხილზე. **ნუნისის** ანომალიები სწორადაც აქედან მოდის, რომელსაც ზოგი ეზოთერიკოსი მისტიკურად ხსნის, არადა, სრულიად რეალური ვითარებაა: გეოგრაფია-გეოლოგიის დოქტორის **ჯემილა მესხიას** მტკიცებით, აქ ორი მანტია გადაკვეთს ერთმანეთს, რის შედეგად წარმოიქმნება განსაკუთრებული ველი. ჩვენი სასახელო მეტროპოლიტენის რუსთაველის სადგურის ინტერიერი ვეფხვის ტყავის შეფერილობასთან მიახლოვებული იქაური მარმარილოთია მოპერანგებული. იქ, მესამე

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 2 | 9 | 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 |
| 2 | 9 | 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 | 1 | 8 |
| 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 | 1 | 8 | 2 | 9 |
| 4 | | 5 | | 6 | | 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | |
| 5 | | 6 | | 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | | 4 | |
| 6 | | 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | | 4 | | 5 | |
| 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | | 4 | | 5 | | 6 | |
| 8 | 2 | 9 | 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 | 1 |
| 9 | 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 | 1 | 8 | 2 |
| | 4 | | 5 | | 6 | | 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 |
| | 5 | | 6 | | 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | | 4 |
| | 6 | | 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | | 4 | | 5 |
| | 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | | 4 | | 5 | | 6 |
| 1 | 8 | 2 | 9 | 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 |
| 2 | 9 | 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 | 1 | 8 |
| 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 | 1 | 8 | 2 | 9 |
| 4 | | 5 | | 6 | | 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | |
| 5 | | 6 | | 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | | 4 | |
| 6 | | 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | | 4 | | 5 | |
| 7 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | | 4 | | 5 | | 6 | |





სვეტზე ნიჟარაა გამოკვეთილი, რომელიც ცხადლივ მიანიშნებს ამ ქანის მოლუსკურ წარმომავლობას.

დედამიწის ოკეანის ფსკერზე უკვე აფიქსირებენ ატლანტიდური წარმოშობის ტაძრებს. ამის ხილვა ინტერნეტითაც შესაძლებელია. ისინი ათასწლეულების წინათაა ჩაძირული, მაგრამ არაფრით განსხვდება ჩვენს სინამდვილეში არსებულ ნაგებობათა არქიტექტურისგან. 12 000 წლის წინანდელ კატასტროფას ჩვენს პლანეტაზე, ცხადია, მისი ქანების კარდინალური გადაადგილებები მოჰყვა. **იქტიოლოგებმა** (თევზების მკვლევარები) შენიშნეს, რომ თევზების ერთ-ერთი სახეობა წყნარი ოკეანიდან ჩრდილოეთ ყინულოვან იკეანეში ყრიდა ქვირითს. ეს დიადი ინსტინქტის გამოძახილია. სხვანაირად არ ძალუძს — სადაც გაჩნდა, ქვირითიც იქ უნდა დაყაროს. ამის კვალობაზე უკვე აღდგენილია დედამიწის იმდროინდელი კოორდინატთა სისტემა.

არის შუმერულ მითოლოგიაში საუბარი პლანეტა **ნიბირუზე**, საიდანაც საფრენოსნო აპარატებით ჩამიდიოდნენ გოლიათი **ანუნაკები**. ისინი ოქროს მოიპოვებდნენ ჩვენთან, თავიანთი პლანეტისთვის მზის გამოსხივების შესამცირებლად. შემდეგ მათი ნაწილი მთლად დედამიწაზე დარჩა, შეერივნენ ადგილობრივებს, შექმნეს გოლიათური აგებულების შთამომავლობა და დროთა ვითარებაში გადაშენდნენ. მსგავსი რამ ზღაპრის თემას უფრო ჰგავს, მაგრამ ატლანტიდური ცივილიზაციის არსებობა დღითი დღე ხელშესახები ხდება. მისი უშუალო ჩამომავლები კი, ტრადიციით, პროტოიბერიელები არიან ეთნარქი **იონის** მესვეურობით.

ამ ასპექტით მეტად საინტერესოა ერთი ხე-მცენარე **ფსტა, ბუსტუღი, საკმლის ხე,** **„Fistacia atlantikus“**. ეს ხე ენერგეტიკულია. მისგან შესაძლებელია ნავთობის, ფეთქებადი ნივთიერების მიღება. ხის სახელი, გამორიცხული არ არის, ასაიდუმლოებდეს დედამიწაზე 12 000 წლის წინათ მომხდარი კატასტროფის ნამდვილ მიზეზს — არა ასტეროიდის ჩამოვარდნას დედამიწაზე, არამედ ამ ხისგან წარმოებული ნივთიერების ერთდროული აფეთქებით გამოწვეულ უბედურებას, რომელმაც, შესაძლოა, დაღუპა კიდეც ატლანტიდის ცივილიზაცია და დარჩა მცირე ნაწილი იმ ხალხისა, ვინაც შუმერში **ენქის** რასად, ჩვენში კი **კავკასოიდად, თეთრ ადამიანად** არის ცნობილი.

დგება საკითხი, შეიძლება თუ არა ადამიანმა გადალახოს კოლოსალური სიშორეები, როცა სინათლის სხივს ერთი გალაქტიკიდან მეორემდე მისაღწევად მილიონობით სინათლის წელიწადი სჭირდება. და აქ თავს წამოჰყოფს გოლოგრაფის იდეა **(დვორინი)** ცოცხალი ორგანიზმის ინფორმაციის სახით გაგზავნის თაობაზე. **არგუელისის** მიხედვით, ამ ჰიპოთეზას ადასტურებს მაიელების **„ცოლკინიც“**, რომელთაც არც ბორბალი ჰქონდათ, აღარც ცხენი ჰყავდათ და მაინც დღემდე ყველაზე უზუსტესი კალენდარი გააჩნიათ.

ვფიქრობ, ეზოთერიკულადაც და ასტრონომიულადაც ყველას გადაასწრო **ვაჟა-ფშაველამ,** რომელმაც მისთვის ჩვეული ბუნებრივობით განაცხადა კონგენიალური რამ: **რაც იმ ერთ ღამეს მომხდარა, შეუნახია ჰაერსაო**. ანუ, მისი თქმულის მიხედვით, ნებისმიერმა პიროვნებამ, რომელმაც იარსება დედამიწაზე, იშრომა, იღვაწა, იცეკვა, აღავლინა ჰიმნები, აწარმოა ომები, კინოფირის სახით შენახული აქვს ჰაერს, იგივე ცეცხლს, ელექტრონს. დიახ, კვლავაც პროტოიბერიელისგან, კვლავაც ქართველისგან იბადება სამყაროისეული საზრისი, რომ ჰაერი ინახავს ცოცხალი ორგანიზმის ნებისმიერ ფორმას, ნებისმიერ ბგერას, ნებისმიერ ფერს. ეს კი იმისი მაუწყებელია, რომ თავად ჰაერი გახლავთ ცივილიზაციების კოლოსალური ბიბლიოთეკა, საზოგადოებათა ისტორიების ხელშეუვალი არქივი-ფონდი. მოვა დრო და მაღალგანვითარებული ტექნილოგიები მოახერხებენ ჰაერის არქეოლოგიას, ამა თუ იმ ეპოქების, ცივილიზაციების, მათი შემოქმედი ხალხების, თუ პიროვნებების უდანაკარგო რესტავრაცია-რეანიმაციას. ამისთანა პირობებში, ბუნებრივია, მშვენივრად გაირკვევა, ვინ ყოფილა კაცობრიობის ჭეშმარიტი კულტურტრეგერი, მთავარ სულიერ ფასეულობათა პირველაღმომჩენი. ცხადია – პროტოიბერიელი, იგივე კოლხი, იგივე ქართველი. და აი, ლამარკის ბუნებაში მომხდარ მოვლენათა მუდმივი შენახვის იდეა სად შეიძენს სამყაროისეული დროის — წარსულ-აწმყო-მომავლის ერთმთლიანში, **კონტინუუმში** გამარადისების სიცხადეს. მაგრამ როგორც იტყვიან, ყველაფერზე — რიგისობის მიხედვით, გაზეთის მომდევნო ნომრებში.

**დასაწყისი**
იხ. „ს.გ“, N34,35, 2023 წ.

# ამება, ქალამანა და ფოსტალა

## იუმორით დანახული დღევანდელობა



გულო კობიაშვილი

გრძელ, მანამდე შავად შეღებილ თმაზე სისხლივით წითელი საღებავის ტანჯვა-წამებით წასმას, როგორც იქნა, ამთავრებს ცაცა, შეღებილსაც ასევე ტანჯვა-წამებით იტენის თავზე ჩამოცმული პოლიეთილენის პარკის ქვეშ, ზედ ფადიშაჰის ჩალმასავით იგორგოლავებს ხაკისფერ, ზოლიან პირსახოცს და მწარედ გარინდული ხმამაღლა ფიქრობს: ჯერ რომელს ვთხოვო ნეტა, - ამებას, ქალამანას თუ ფოსტალას? კიდევ კარგი, არ ავყევი გუშინ. მიტინგიდან დაბრუნებული ეს მართლა ერთუჯრედიანები როგორ გაჰკიოდნენ უკრაინის მხარდასაჭერად, საქართველო ვალდებულია, ომი გამოუცხადოს რუსეთსო. ღმერთო დაგვიფარე! კაცმა რომ თქვას, რას ვერჩი, კაცები სულ არაა საჭირო, მარტო ეს მომიტინგე ქალები რომ მიუსიო ველიკაია რასიას, დედას უტირებენ წამში. დღესაც მიტინგია და ვიდრე სახლიდან გავლენ, უნდა მოვსინჯო... ამებადან დავიწყებ.

- ანი! - თითისწვერებზე შემდგარ, დოინჯშემოყრილ და ნაზად ყელმოღერებულ თვალებმერცხალა ხუთიოდე წლის გოგონას მართლა ფადიშაჰივით უბრიალებს თვალებს თვითონაც დოინჯშემოყრილი ცაცა, - ადი ამებასთან... ფუი, ლიკასთან და უთხარი, დედამ გთხოვა, ხვალამდე ხუთი ლარი მასესხე-თქო.

- რომ არ მომცეს? - დედისკენ ისევ თითისწვერებზე შემდგარი, პეპელასავით ნაზად მოფარფატებს ანი, - დე, ცეკვაზე მატარებ?

- რა ცეკვაზე, გოგო?! - ხალათის ზედა ღილებს იხსნის დასიცხული ცაცა და გაცეცხლებული ურახუნებს თავში უდანაშაულო პირმშოს, - ცეკვის კი არა, პურის ფულიც არ გვაქვს. არ გაიხაროს სულელმა მამაშენმა, სულ შეუჭამია ის ფული, რაც ბაზარში გავატანე. გალეშილი გდია ახლა გარაჟში, ნაძირალა! მოიცა ერთი, გადავივლო წყალი ამ თმაზე. ჩავალ მერე გარაჟში და ქალი არ ვიყო, თუ შლანგით არ მივუშვა წყალი და ტბაში არ ვაბანაო ეგ ღორი! მეკადრება კი მე, აზნაურის შთამომავალს, ხუთ ლარზე ველიჯინო ვიღაც სულელ გლეხუჭა ლიკას? წადი გოგო, ისედაც დაწყვეტაზე მაქვს ნერვები და შენზე არ ვიყარო ჯავრი!

- რომ არ მომცეს? რა ვქნა, ან რა ვუთხრა მერე? - საშინლად ეზარება წასვლა ანის.

- რა უნდა უთხრა და... - ხელახლა წარმოუდგება თვალწინ გარაჟში გაშხლართული მხვრინავი, გალეშილი ქმარი და კიდევ უფრო ცეცხლდება ცაცა, - უთხარი, შე გათახსირებულო, წუპაკო, წუწურაქო, მაწანწალა... მიშას ბოზო და... გოგო, შენ ისევ აქ ხარ?! წადი, არ გაგასწროს სადმე, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!

ანი ადგილიდან წყდება და ხან ასკინკილით, ხან ისევ ჩვეულებრივი ნაბიჯებით მალევე ადის მეოთხე სართულიდან მერვეზე. ნაცნობი კარის წინ ანი კვლავ თითისწვერებზე დგება, ზარის ღილაკს რომ როგორმე მისწვდეს და თითის აუღებლად ხანგრძლივად და დაჟინებით რეკავს და რეკავს მანამ, სანამ რკინის მასიური კარი მძიმე ჭრიალით არ იღება და შიშისგან თვალებგადმოკარკლული, შავთმააზღარბული და იატაკის საწმენდი ხის დიდი ჯოხით შეიარაღებული ლიკა თავს არ აცხრება ანის.

- გაგიჟდი, გოგო, თუ რა არის. შეიძლება ასე?! გული გამიხეთქე, შე არგასაზრდელო!

- დედამ... - მხრებში იწურება შიშისგან ლამის გონსმიხდილი ანი.

- რაო, დედამ?! - რისხვისგან ლამის თვალები წამოსცვივდეს ლიკას.

- შე გათახსირებულო, წუპაკო, წუწურაქო, მაწანწალა, მიშას ბოზო და ...

- რაო, რაო?!

- ხუთი ლარი მასესხე ხვალამდეო... - ჯერ უკან-უკან იხევს, შემდეგ კი კისრისტეხით ჩარბის კიბეზე შიშისგან რეტდასხმული ანი, თვალებგადმოკარკლული, შავთმაგაწეწილი ლიკაც მის კვალდაკვალ მიჰქრის მეტეორივით.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ლოთი ანზორას ბინის მძიმე რკინის კარი ხელახლა იღება, პირველი ერთიანად სისხლისფრად მოთხვრილი, ტრუსისამარა წითელი თმით სახე და მკერდდაფარული აკივლებული ცაცა ეშვება კიბეზე, მას ჯოხმომარჯვებული, კუნაპეტივით შავთმაგაწეწილი და თვალებჩასისხლიანებული ლიკა მისდევს, მათ უკან კი, არც მეტი, არც ნაკლები, პეპელასავით ნაზი ფარფატით ეშვება ანი.

- მიშველე, შე უნამუსო, ლოთო, მიშველე, ანზორა, მიხსენი ამ ურჩხულისგან! - მიწაზე წამომჯდარ ქმარს საკინძეში აფრინდება ცაცა და შიშისგან გულგახეთქილი ეხვეწება, - ერთხელ მაინც გამოიჩინე ქმრობა და კაცობა, ერთხელ მაინც! - კიდევ რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ თავში ლიკას მოქნეული ჯოხი ხვდება და უგონოდ იშხლართება ძირს.

გალეშილი, გაოგნებული ანზორა პირჯვარს იწერს, ჯერ წითლადმოთხვრილ, ნახევრადშიშველ და გონდაკარგულ ქალს დაჰყურებს, მერე თვალებგადმოკარკლულ, შავთმაგაწეწილ და ჯოხმომარჯვებულ ქალს და ხმამაღალი ქვითინით იცემს თავში ხელებს.

„ხო მაფრთხილებდა ცაცა, მაგდენი სმით ბელაია გარიაჩკა დაგემართებაო და არ დავუჯერე, რაღა ვქნა, რაღა ვქნა, ჯერ ეს სისხლისგან დაცლილი მკვდარი წითელი ქალი ვერ მომინელებია და ახლა ეს, უშანგის შავი, ჩათლახი ცოლი რაღამ მომაჩვენა...“, - ფიქრის დასრულება ვერ მოასწრო ანზორამ...

- ვაიმე, თავში ნუ მირტყამ, ვაიმე თავში ნუ მირ...

- მიშველეთ! - გარაჟის ღია კარში შემოცვენილი ცნობისმოყვარე მეზობლებისკენ გარბის აბღავლებული ანი, - ამება დეიდამ ორივეე...



## რომელ დღესასწაულზე ხარ დაბადებული

1 ნოემბერი – კელკურ ახალი წელი.
2 ნოემბერი – საჰაერო ბურთის დაბადების დღე.
3 ნოემბერი – საღეჭი რეზინის დაბადების დღე.
4 ნოემბერი – სააკაშვილის აქციების პერიოდი.
5 ნოემბერი – მუსიკის დღე (ჩინეთი).
6 ნოემბერი – “ტანგა” ტრუსიკის დაბადების დღე.
7 ნოემბერი – სააკაშვილმა დაარბია აქცია.
8 ნოემბერი – პირველად გავიდა ტელევიზიაში «КВН» (1961).
9 ნოემბერი – ფაშიზმის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე.
10 ნოემბერი – პოლიციის დღე.
11 ნოემბერი – კოქტეილის დაბადების დღე.
12 ნოემბერი – ბანკის თანამშრომელთა დღე.
13 ნოემბერი – უსინათლოთა საერთაშორისო დღე.
14 ნოემბერი – დიაბეტთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.
15 ნოემბერი – გენიოსების საერთაშორისო დღე.
16 ნოემბერი – სუეცის არხის გახსნა.
17 ნოემბერი – სტუდენტების საერთაშორისო დღე.
18 ნოემბერი – ახალი წელი (იემენი).
19 ნოემბერი – მონაკოს ნაციონალური დღე.
20 ნოემბერი – ბებიების დღე.
21 ნოემბერი – მისალმების საერთაშორისო დღე.
22 ნოემბერი – ტარზანის დაბადების დღე (1886).
23 ნოემბერი – ნოემბრის ფესტივალი (ინდოეთი).
24 ნოემბერი – ასანთის დაბადების დღე.
25 ნოემბერი – ძალადობის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე.
26 ნოემბერი – დედების დღე (რუსეთი).
27 ნოემბერი – პასპორტის დღე.
28 ნოემბერი – ყვავილების დღე (იაპონია).
29 ნოემბერი – დალაქების დღე (აშშ).
30 ნოემბერი – კბილის პასტის დაბადების დღე.
1 დეკემბერი – სპიდთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.
2 დეკემბერი – მონობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.
3 დეკემბერი – ინვალიდების საერთაშორისო დღე.
4 დეკემბერი – თოვლის პაპასთან საჩუქრების დასაბარებელი დღე.
5 დეკემბერი – პირველი ზანგი ანტრაქტიდაზე.
6 დეკემბერი – აირღუმელის დაბადების დღე (პატენტი გაიცა 1945 წელს).
7 დეკემბერი – სამოქალაქო ავიაციის დღე.
8 დეკემბერი – ზარმაცების დღე.
9 დეკემბერიЯ – კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.
10 დეკემბერი – ფეხბურთის საერთაშორისო დღე.
11 დეკემბერი – საბავშვო გადაცემების საერთაშორისო დღე.
12 დეკემბერი – კარების დაბადების დღე.
13 დეკემბერი – პიონერთა ყელსაბამების დაბადების დღე (1957).
14 დეკემბერი – პამიდვრის ევროპაში შემოტანის დღე.
15 დეკემბერი – ბანანის აღმოჩენის დღე.
16 დეკემბერი – ყრუ-მუნჯების დღე.
17 დეკემბერი – წვეულებების დღე.
18 დეკემბერი – ემიგრანტების საერთაშორისო დღე.
19 დეკემბერი – წმინდა ნიკოლოზის დღე.
20 დეკემბერი – კალგოტკის დაბადების დღე.
21 დეკემბერი – ზამთრის მძის მდგომარეობის დღე.
22 დეკემბერი – ენერგეტიკის დღე.
23 დეკემბერი – სანტაკლაუსის სამოსის დაბადების დღე.
24 დეკემბერი – ფასდაკლების დღე.
25 დეკემბერი – ევროპული დღესასწაული-ხანუკა.
26 დეკემბერი – საჩუქრების დღე.
27 დეკემბერი – ირმების დღე.
28 დეკემბერი – სარეჭი რეზინის გამოგონების დღე (აშშ).
29 დეკემბერი – ბიოლოგიის საერთაშორისო დღე.
30 დეკემბერი – სტომატოლოგების დღე.
31 დეკემბერი – ძველი ნივთების გადაყრის დღე (იტალია)

# ჰელოუნი – ძველი დღესასწაული ახალი პერსონაჟებით

ამერიკაში, რომელსაც ხშირად „სიკეთის ციტადელს“ უწოდებენ, ჰელოუინი, ფაქტობრივად, სახელმწიფო დღესასწაულია, რომლის პროპაგანდა ქვეყნის მეთაურის ვალდებულებაა.

უკვე მრავალი წელია, ნებისმიერი პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამ „მნიშვნელოვანი“ დღის აღსანიშნავად საზეიმო მიღებას აწყობს, რომელიც თავის ქალებისა და გოგრების ფონზე მიმდინარეობს, სადაც ქვეყნის მეთაური ბავშვებისა და უფროსების დელეგაციებს იღებს, მონსტრებად, მუმიებად და სხვა უკეთურ არსებებად რომ „გადაქცეულან“.

წლევანდელი ჰელოუინი უფრო მხიარულად და საინტერესოდ წარიმართა, ვიდრე სხვა წლებში, როცა ბავშვებს გობლინების ან ვამპირების კოსტიუმები ემოსათ. წელს ძველ პერსონაჟებს ახალი „გმირები“ შეემატა.

ჰელოუინის დღესასწაულთან დაკავშირებულ მიღებაზე სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ენტონი ბლინკენი თავის შვილებთან ერთად მივიდა. მის ვაჟს ზელენსკის „მილიტარი“ სამოსი ეცვა, გოგონას კი უკრაინის დროშის ფერებში გადაწყვეტილი კაბა ემოსა. გარდა ამისა, პატარა „ზელენსკის“ მხარზე ნაჭრის ჩანთაც ეკიდა, რათა შიგ ამერიკის პრეზიდენტისთვის, ჯო ბაიდენისთვის „გამოთხოვილი“ ტკბილეული ჩაელაგებინა. ბაიდენი დამცინავად ხან აწვდიდა „უკრაინელებს“ ტკბილეულს, ხან უკან მიჰქონდა, ბოლოს კი დიდსულოვნად უმასპინძლდებოდა.

სულ ცოტა ხნის წინ ზელენსკის ამას ვერავინ გაუბედავდა, რადგან მას და ჩერჩილს თანაბარი იმიჯი ჰქონდათ. ახლო აღმოსავლეთში დაწყებულმა ომმა უკრაინის თემა უკან გადაწია და აქტუალობა დაკარგა. თანაც ზელენსკიმ უკვე ყველას — ამერიკელებსაც და ევროპელებსაც, თავი მოაბეზრა კრედიტების მოთხოვნით.

ამ ბოლო დროს დასავლეთის პროუკრაინული მედიასაშუალებებიც ხშირად ინტერესდებიან, სად მიდის ამერიკელი და ევროკავშირის გადასახადების გადამხდელების მიერ უკრაინისთვის გამოყოფილი თანხები.



30 ოქტომბერს ამერიკელმა ჟურნალისტმა კენდის ოუენსმა ტვიტერში დაწერა, ამერიკა მთელი მსოფლიოს გასაგონად ამბობს, რომ „დემოკრატიას ავრცელებს“, მაგრამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ვაშინგტონის გადაწყვეტილებები ყოველთვის სწორი არ არის და მაგალითად ავღანეთი და უკრაინა მოჰყავს.

„ზელენსკი კორუმპირებული დიქტატორია. ისე ნუ ვიქცევით, თითქოს დემოკრატიის პრინციპებს ვიცავთ. ნიღბები ჩამოხსნილია. მე არ მესმის, რატომ და რისთვის ცრუობენ ჩვენი პოლიტიკოსები“.



გავლენიანმა გაზეთმა „თაიმმა“, რომელსაც ამერიკული ვოიაჟის დროს ინტერვიუ მისცა, ყდაზე ზელენსკის ზურგიდან გადაღებული ფოტო დაბეჭდა, სადაც დიდი ასოებით წერია: „არავინ“.

2023 წლის 12 აპრილს ვოლოდიმირ ზელენსკის შესახებ მკაცრად დაწერა ამერიკელმა ჟურნალისტმა და პულიცერის პრემიის ლაურეატმა სეიმურ ჰერშმა. მან თავის სტატიაში უკრაინის პრეზიდენტი 400 მლნ დოლარის მოპარვაში ამხილა, რომელიც ამერიკელებმა კიევს დიზელის შესაძენად გამოუყვეს. სინამდვილეში, მოპარული თანხები მილიარდობით დოლარს აღწევს.

„თაიმსმა“ დაწერა: „ზელენსკი პიროვნება, მოაზროვნე ადამიანი კი არა, ცარიელი ფიტულია“.

პრეზიდენტის პოსტზე დანიშვნამდე მას პოლიტიკური ბიოგრაფიაც კი არ ჰქონია. ის ხალხს არ აურჩევია, ამომრჩევლები მოატყუეს და დახვეწილი პოლიტტექნოლოგიების გამოყენებით დანიშნეს თანამდებობაზე.

ადრე უკრაინულ პოლიტიკუმში თითქმის არასოდეს ყოფილან ადამიანები, რომლებსაც მტკიცე პრინციპები ჰქონდათ, მაგრამ რაღაც შეხედულებები და იდეოლოგიური სიმპათიები მაინც გააჩნდათ. რა თქმა უნდა, პირად სარგებელზე ფიქრობდნენ, მაგრამ გარკვეულ პოლიტიკურ იდეებზე მაინც ჰქონდათ წარმოდგენა და მხარს უჭერდნენ მათ.

ზელენსკის კი პოლიტიკური შეხედულებებიც კი არ გააჩნია. იმასაც არ შეუწუხებია, რომ კაზინოსა და ნარკოტიკების ლეგალიზაციის გამო ბევრი მისი თანამემამულე ლატაკდება და დეგრადირდება. ისეთი დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის ადამიანებს, როგორიც ზელენსკია, ძველი სკოლის ფსიქიატრები მორალურ იდიოტებს უწოდებდნენ.

თეთრ სახლში შემთხვევით არაფერი ხდება და თუ ზელენსკის ასე დამცირება გადაწყვიტეს და მათხოვრად და უწმინდურად გამოიყვანეს, ეს ნიშნავს, რომ რეალური პოლიტიკის სამყაროში მას კარგი არაფერი ელის. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ამერიკელები უკრაინას მიატოვებენ, დიდი ალბათობით, ისინი მის მარიონეტ სპიკერს ჩამოაგდებენ და ყველაფერი ამით დასრულდება.

**ბელა გველესიანი**



**ჩვენი ძვირფასი მთავარი რედაქტორის, გვანცა ხარჩილავას ქალიშვილს, თამარ ბერძენიშვილის შვილიშვილსა და ჩვენი გაზეთის შვილობილს, ულამაზეს და უსაყვარლეს ქალბატონს, პატარა**

**ნენე დაუშვილს**

**ვულოცავთ დაბადების დღეს.**

**ვუსურვებთ წარმატებებს ცეკვაში, სიმღერაში, ხატვაში, პლასტელინით ძერწვაში, ხტუნვასა და ანცობაში.**

**დაე, მისი ცხოვრება მუდამ ბავშვობასავით ლაღი და მხიარული ყოფილიყოს!**

**ჩვენს ლევანოზას, ჩვენს ძვირფას თანამშრომელს, თავისი საქმის შესანიშნავ მცოდნე ნიჭიერ დიზაინერს, ასტროფიზიკოსს, წესიერ, პატიოსან, ადამიანს — ლევან ბოჭორიშვილს**

**ვულოცავთ დაბადების დღეს.**

**ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.**

**„საერთო გაზეთის“**
**რედაქცია**



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

**საერთო გაზეთი**
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99